ბავშვთა უფლებები

N1(2),2023

როგორია
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა
საქართველოში

მშობლის როლი
ბავშვის განათლებაში

გენდერული ბალანსის
მნიშვნელობა ქვეყნისთვის

ISSN 2720-8621

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ბავშვთა უფლებები

N 1(2), 2023

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

დავით ხვედელიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

დავით სიმონია
იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

ნათია ალიაშვილი
არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მორის ბარამია
განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ტყეშელაშვილი
მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსი

მთავარი რედაქტორი
ანი კუდუხაშვილი

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
ბესიკ დანელია

ფოტოგრაფი
გელა ბედიანაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,

ელფოსტა:

info@tpdc.ge

ISSN 2720-8621

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

ანი კუდუხაშვილი

მთავარი რედაქტორი,
ინოვაციური განათლების პროგრამის მენეჯერი

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებებით“.

სწორედ ამას ითვალისწინებს 1984 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პირველი მუხლი. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც რჩება პასუხგაუცემელი კითხვა – სარგებლობენ ბავშვები თანაბარი უფლებებით?

ზემოთ ხსენებული ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ბავშვს აღიარებს ადამიანის უფლებების მქონე დამოუკიდებელ სუბიექტად, რაც ნიშნავს, რომ ბავშვებს უფლებები აქვთ არა იმიტომ, რომ ისინი საზოგადოების მომავალი – მომავლის ადამიანები არიან, არამედ იმიტომ, რომ არიან ადამიანები ბავშვობის ასაკში.

საზოგადოება თანხმდება, რომ, დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად, ბავშვის უფლებები დაცული უნდა იყოს ყველგან – ოჯახში, სახელმწიფო ზრუნვის სააღმზრდელო დაწესებულებაში, სხვა საჯარო თუ კერძო სივრცეში, ადმინისტრაციულ ორგანოში, საგამოძიებო ორგანოში, სასამართლოსა და პენიტენციურ დაწესებულებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ბავშვთა უფლებები და უფლებების დაცვის მექანიზმები ყველასთვის ცნობილია და, ამასთანავე, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობა კანონით ისჯება, ბევრ ოჯახში ბავშვის ცემა ჯერ კიდევ ნორმად არის მიჩნეული. UNICEF-ის კვლევების თანახმად, მოსახლეობის 60 პროცენტის აზრით, ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდები უფრო ამართლებს, რადგან ჯერ კიდევ აქტუალურია ფრაზა **„შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება ძმურადა“**.

უფროსების მხრიდან არასრულწლოვანთა დასჯა ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და დაფარული ფორმაა, რადგან მოძალადე მშობლებს მომხდარის გახმაურება არ აწყობთ, ბავშვებს კი ამაზე ხმამაღლა საუბრის ეშინიათ. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც კიდევ მრავლად არიან მშობლები, რომლებიც შვილებზე ფიზიკურად ძალადობენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ძალადობის ისეთ ფორმებზე, რომელსაც საერთოდაც არ განიხილავენ ძალადობად – მაგალითად, ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, ბავშვის აღზრდის უგულებელყოფაზე.

„დატყვევებული უფრო საშიშია, ვიდრე ნებაზე გაშვებული“ – ოთარ ჭილაძის ეს შესანიშნავი ფრაზა ზუსტად გამოხატავს ჩვენს რეალობაში დამკვიდრებული ძალადობის უკუკავშირს. ვისაც გაუმართლებს და „ზომიერად მოხვდება“, გადარჩება, თუმცა როგორია გადარჩენის შემდეგ მისი ცხოვრება? ვინმე ფიქრობს ამაზე? ძალადობაგამოვლილი ბავშვები, უმეტეს შემთხვევაში, თავადაც ძალადობის ხაზს აგრძელებენ თანატოლების მიმართ ან საკუთარი შვილების მიმართ, ან უბრალოდ, ფსიქიკური ტრავმით დააბიჯებენ ჩვენ გვერდით.

ამ ნომერში გთავაზობთ პოზიტიური აღზრდის სისტემას. პოზიტიური მშობლობა გვასწავლის – გვიყვარდეს ბავშვი კრიტიკისა და საყვედურების გარეშე, მივიღოთ მისი პიროვნება ზედმეტი და გადაჭარბებული მოლოდინების გარეშე და დავაფასოთ ის. პოზიტიური აღზრდა ბავშვს ეხმარება საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში, პიროვნული მახასიათებლებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. ვინაიდან ურთიერთობა არის ორმხრივი, პოზიტიური მშობლობის სიკეთე აისახება მშობელზეც. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ დედას/მამას ჰქონდეს მზაობა და განწყობა უკეთესად შეიმეცნოს სხვადასხვა საკითხი ბავშვის დახმარებითა და მონაწილეობით. მასთან ურთიერთობით გადააფასოს საკუთარი დამოკიდებულებები და გააცნობიეროს ბავშვობის დროინდელი კონცეფციები. ენერგია, რომელსაც გასცემს მშობელი, აუცილებლად უბრუნდება მას. დადებითი ემოციური ენერგია იწვევს უკუკავშირს, რომელიც პოზიტიური ემოციებით აღავსებს აღმზრდელსაც.

გთავაზობთ, ასევე, მოსაზრებებს სკოლისა და მშობლის ურთიერთობაზე. ბავშვს აქვს განათლების უფლება, ამიტომ ამ უფლების დაცვისა და ხარისხიანი განათლების მიღებისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელთან ერთად, მშობელიც იყოს დაინტერესებული შვილის საგანმანათლებლო საკითხებით, კერძოდ, იცოდეს მისი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეები.

თითოეული სტატია და მთლიანად ჟურნალი ერთ მიზანს ემსახურება – აღვზარდოთ სრულფასოვანი მოქალაქეები, რათა შემდგომ მათ, საკუთარ უფლებებთან ერთად, სხვისი უფლებებიც დაიცვან და, რაც მთავარია, ყოველთვის ახსოვდეთ საკუთარი მოვალეობები.

და კიდევ ერთხელ, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრებსა და სტატიების ავტორებს აქტუალურ თემებზე მუშაობისათვის.

სკოლა

3 ღასან ხალილი
როგორია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

მშობელი

7 ნუცა ფრუიძე
მშობლების დედაენა

მშობელი

10 მეგი კავთუაშვილი
მშობლის როლი ბავშვის განათლებაში

სკოლა

17 თეა გალახვარიძე
გენდერული ბალანსის მნიშვნელობა ქვეყნისთვის

ბავშვი

22 დიანა ანფიმიადი
რისთვის გვჭირდება საბავშვო პოეზია?

სკოლა

26 ნათია ალიაშვილი, ნინო ბექაური
მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობა განათლების პროცესში

ბავშვი

32 ჯინა შოგირაძე
რომელი უფრო ცუდად მოიქცა?

ბავშვი

40 სალომე ჯავახაძე
რომ გაიზრდები, ვინ გინდა იყო?

როგორია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში



ლუსან ხალილი
გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენელი

2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ბავშვის უფლებათა კოდექსი. ამ კანონის მიღების შემდეგ რა ცვლილებები შეინიშნება ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიმართულებით?

ბავშვის უფლებათა კოდექსი არის ყოვლისმომცველი სამართლებრივი აქტი, რომელიც მოიცავს ბავშვთა ყველა უფლებასა და თავისუფლებას, მათი განხორციელებისა და დაცვის მექანიზმებს და ექნება ხანგრძლივი გავლენა ბავშვების ცხოვრებაზე საქართველოში. კოდექსის იმპლემენტაციას მხარს უჭერს UNICEF, კანონების კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, არსებული და ახალი მექანიზმების გაძლიერების, პროფესიონალების სპეციალიზაციის გაზრდის, შესაბამისი მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებით.

ბავშვის უფლებათა კოდექსი სახელმწიფოს ავალდებულებს, განახორციელოს ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიება, რომელიც გულისხმობს ბავშვთა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა თავშესაფრების ეტაპობრივ ჩანაცვლებას მინდობით აღზრდით და სხვა საოჯახო თუ თემზე დაფუძნებული სერვისებით. დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით, საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ერთიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რათა უზრუნველყოს ბავშვთა თავშესაფრების ეტაპობრივი დახურვა.

აუცილებელია, რომ, სახელმწიფო ზრუნვის ფარგლებში, ნებისმიერი ბავშვის უსაფრთხოება, კეთილდღეობა და განვითარება ზედმიწევნით კონტროლდებოდეს სპეციალისტების მიერ და რეგულარულად ხდებოდეს ზრუნვის პროცედურების შეფასება. ბავშვის უფლებათა კოდექსი ხაზს უსვამს ოჯახის მხარდაჭერის სერვისების მნიშვნელობას ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე. აუცილებელია ოჯახის მხარდაჭერის ძლიერი სერვისები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ოჯახური გარემო ყველა ბავშვისთვის და თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის ოჯახთან განშორება. სოციალური დაცვის სისტემის პერსონალი ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე არის ხარისხიანი სოციალური მომსახურების გასაღები.

სადაც პრევენციული და ოჯახის მხარდაჭერის სერვისები ნაკლებია, ალტერნატიული მზრუნველობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვზე ზრუნვის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს. სახელმწიფოს მონიტორინგისა და მხარდაჭერის შესაძლებლობები ალტერნატიული მოვლის სერვისებისთვის უნდა გაძლიერდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის, ბავშვის უფლებათა კოდექსის, ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის სახელმძღვანელო პრინციპებისა და ბავშვთა მოვლის სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენ ჩავატარეთ ბავშვების შეფასება დაწესებულებებში და შევქმენით მოდელი ოჯახზე დაფუძნებულ ზრუნვაზე გადასვლის მხარდასაჭერად. მნიშვნელო-

ვანია, რომ დიდი დაწესებულებების დახურვისას დაინერგოს თემზე დაფუძნებული და ოჯახის ხელშემწყობი სერვისები, რათა უზრუნველყონ შემდგომი მხარდაჭერა ინსტიტუციური მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისთვის. ასევე ყურადსაღებია ოჯახებისა და პროფესიონალების ჩართულობა.

UNICEF მხარს უჭერს სოციალური მუშაობის სერვისების განვითარებას საჭირო ინტერვენციების იდენტიფიცირების, მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების შემუშავების, სოციალური მუშაკებისა და სხვა პროფესიონალების შესაძლებლობების განვითარების გზით. სოციალურ მუშაკებს აქვთ შესაბამისი ცოდნა და მეთოდოლოგია, რათა უკეთ გამოავლინონ როგორც სუიციდის, ასევე ბავშვებზე სექსუალური ძალადობის რისკების დროულად გამოვლენა და პრევენცია.

UNICEF-მა, ესტონეთის მთავრობის ხელშეწყობით და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან და სხვა პარტნიორებთან ერთად, მხარი დაუჭირა ინტეგრირებული სერვისის შექმნას სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. სერვისი სთავაზობს ყველა სახის საგამოძიებო აქტივობას და სარეაბილიტაციო პროგრამებს ბავშვებზე მორგებულ და უსაფრთხო ერთიან სივრცეში.

როგორ შეაფასებდით ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში?

COVID-19-ის დაწყებიდან, UNICEF მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას, ქვეყანაში პანდემიის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, UNICEF-თან პარტნიორობითა და USAID-ის მხარდაჭერით, ჩაატარა COVID-19-ის რეალურ დროში ზემოქმედების მონიტორინგის კვლევა ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე; კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიის პირობებში შემცირდა შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი. შემცირებული შემოსავლისგან გამოწვეული პრობლემების დასაძლევად, ყველაზე ხშირად შინამეურნეობები ამცირებენ საყოფაცხოვრებო ხარჯებს, ხარჯავენ დანაზოგებს, ამცირებენ საკვების ხარჯებს და სესხულობენ ფულს მეგობრებისა და ნაცნობებისგან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უამრავი ბავშვის მდგომარეობის გაუარესების გამო, მთავრობამ შემოიღო ბავშვების სოციალური დაცვის ახალი და გაფართოებული ზომები, მათ შორისა ბავშვთა შემწეობის გაზრდა. გაეროს ბავშვთა ფონდი მიესალმა 2022 წლის აპრილში მთავრობის ინიციატივას საქართველოში ყველაზე მოწყვლადი ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ბავშვთა დაფინანსების 100 ლარიდან 150 ლარამდე გაზრდის კუთხით, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად. გაეროს ბავშვთა ფონდი თანამშრომლობს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გასაძლიერებლად, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების რაოდენობის შესამცირებლად. ამ ინიციატივის პოზიტიური შეფასებით, ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა შეიმუშავებს კონკრეტულ ინტერვენციებს სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, რომლებიც არ არიან მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ბენეფიციარები, მაინც დაუცველები არიან და საჭიროებენ მხარდაჭერას.

ადრეული ასაკი და განათლება ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის – გარდა იმისა, რომ პატარებს ამზადებს დაწყებითი განათლებისთვის, კარგი ხარისხის სკოლამდელი დაწესებულება ეხმარება ბავშვებს სოციალურ ურთიერთობებში ნავიგაციასა და სამყაროში თავიანთი ადგილის პოვნაში. სწორი ადამიანური და ფინანსური რესურსებით კარგი სკოლამდელი დაწესებულება აუმჯობესებს სასკოლო მზადყოფნას და ამით ზრდის ბავშვის შანსებს, გამოიყენოს თავისი პოტენციალი.

საქართველო ამ სფეროში არაერთი გამოწვევის წინაშე დგას – სოციალურად დაუცველი ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებაში მონაწილეობის შედარებით დაბალი დონე, ნაკლებობა სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლებისა, რომლებიც მომზადებულნი არიან თანამედროვე ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებში.

2016 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და მზრუნველობის შესახებ, რომელიც შემუშავებული

იყო UNICEF-ის ტექნიკური მხარდაჭერით და მოიცავდა ინოვაციებს ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის გასაუმჯობესებლად. ერთ-ერთი მთავარი სიახლე იყო ყველა საჯარო და კერძო სკოლამდელი დაწესებულებისთვის სავალდებულო ეროვნული სტანდარტების მიღება – მასწავლებლის კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესის, სანიტარული პირობების, ჰიგიენისა და კვების სტანდარტების. ყველა საბავშვო ბაღი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ახალ სავალდებულო სტანდარტებს, რათა გაიაროს ავტორიზაცია.

სამყაროს წინაშე დგას სასწავლო კრიზისი. მილიონობით ბავშვსა და ახალგაზრდას მთელ მსოფლიოში ვერ უვითარდება საჭირო უნარები სიღარიბისგან თავის დასაღწევად. COVID-19 პანდემიის შედეგად სკოლების დახურვამ და შეფერხებებმა კრიზისი უფრო გააღრმავა, მკვეთრად გაზარდა სწავლის ხელმიუწვდომლობა და გაამწვავა უთანასწორობა განათლებაში. საქართველოში 50 000-ზე მეტი ბავშვი ციფრული სამყაროს მიღმაა, რაც ზღუდავს წვდომას იმავე შესაძლებლობებზე, რომლებზეც მათ თანატოლებს აქვთ წვდომა. უმოქმედობის ფასი მაღალი იქნება. სასწრაფოდ გვჭირდება განათლების ხელახლა გადააზრება. თანამედროვე განათლების სისტემამ უნდა ჩამოაყალიბოს და დაამტკიცოს ძირითადი უნარები – წერა, კითხვა და ანგარიში, ასევე, პრობლემების გადაჭრის, კრეატიულობისა და კრიტიკული აზროვნების უნარები, რომლებიც ახალგაზრდებს სჭირდებათ სამუშაოდ, ბიზნესის დასაწყებად და საზოგადოებაში პროდუქტიულად ჩართვისათვის. ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და პოტენციალი ნიშნავს, რომ ციფრული სწავლება უნდა იყოს ყველა ბავშვისა და მოზარდისთვის აუცილებელი სერვისების ძირითადი კალათის ნაწილი.

ქართველი მოსწავლეების მაჩვენებლები კვლავ ყველაზე დაბალია OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში 15 წლის მოსწავლეებმა საქართველოში გააუმჯობესეს მაჩვენებლები კითხვაში, მათემატიკასა და მეცნიერებაში, პროგრესი განსხვავებულია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში. ქალაქში მცხოვრები მოსწავლეები ჯობნიან სოფლად მცხოვრებ მოსწავლეებს; სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებული მოსწავლეები ჯობნიან სოციალურად დაუცველ თანატოლებს; მოსწავლეებს, რომლებიც სახლში საუბრობენ ქართულად, აქვთ უკეთესი შედეგი, ვიდრე მათ, ვინც არ ფლობს ქართულ ენას.

მოსწავლეთა განვითარება და მზაობა 21-ე საუკუნის ეკონომიკებში კონკურენციისთვის მოითხოვს მცოდნე, კვალიფიციურ და მოტივირებულ მასწავლებლებს. საქართველოს მასწავლებლები პროფესიული განვითარების პროცესში ბევრად ნაკლებად ებმებიან, ვიდრე OECD-ის ქვეყნებში. უწყვეტი ტრენინგების გარეშე კი მასწავლებლები ვერ ეცნობიან უახლეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სასწავლო პრაქტიკას, რომელიც დადასტურებულად ეხმარება მოსწავლეებს სწავლის პროცესში. ბევრი მასწავლებელი ასწავლის ბავშვებს ტრადიციული წესით, რაც აქცენტს აკეთებს ფაქტების დამახსოვრებაზე, უნარებისა და კომპეტენციების შეძენის ნაცვლად. შესაბამისად, საქართველოში მოსწავლეები შემდგომ იბრძვიან იმ კომპეტენციების გასავითარებლად, რაც მათ უმაღლეს განათლებასა და შრომის ბაზარზე წარმატების მისაღწევად სჭირდებათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ესტონეთის მთავრობასთან პარტნიორობითა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, აქტიურად მუშაობს მაღალკვალიფიციური ეროვნული პედაგოგიური კორპუსის ჩამოყალიბებისა და ბავშვებისთვის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. პარტნიორობის ძირითადი კომპონენტები მოიცავს სწავლებისა და სწავლის მეთოდების ესტონურ მოდელზე დაფუძნებული ეროვნული სასწავლო გეგმის გადახედვასა და გაუმჯობესებას და პედაგოგებისთვის საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების შექმნას.

საქართველოს რვა სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავდა და დაინერგა სრულფასოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს პერსპექტიული მასწავლებლების მომზადებას და პროფესიაში წარმატებით შესვლას.

ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, შვიდ სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ბავშვთა უფლებების რვა ცენტრი, რომელთა მიზანია ბავშვის უფლებების შესახებ ცოდნის გავრცელება პედაგოგებს, აკადემიურ წრეებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მშობლებსა და ბავშვებს შორის. ერთ-ერთი მათგანია გორის უნივერსიტეტი და ჩვენ კმაყოფილი ვართ ამ პარტნიორობით. ცენტრები მხარს უჭერენ მომავალ და ამჟამინდელ განათლების სპეციალისტებს, მშობლებსა და თემებს ბავშვის უფლებების უკეთ გასაგებად. ცენტრები აწყობენ სხვადასხვა აქტივობას, როგორიცაა ტრენინგები, ღია ლექციები და დისკუსიები, ასევე, შეიმუშავებენ კონკრეტულ საგანმანათლებლო მასალებს ბავშვთა უფლებების შესახებ.

UNICEF მუშაობს ახალგაზრდების უნარების განვითარებაზე არაფორმალური განათლების მეშვეობით.

ბავშვთა უფლებების კოდექსი განსაზღვრავს ტერმინს ბავშვის საუკეთესო ინტერესი. რა ეფექტური მექანიზმებია გათვალისწინებული სახელმწიფო პოლიტიკის ამ დოკუმენტით ბავშვის უფლებების უზრუნველსაყოფად?

კოდექსით განსაზღვრულ ყველა მოქმედებაში გასათვალისწინებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესები, საუკეთესო გამოსავალი კონკრეტული ბავშვისთვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება მის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას და/ან რაიმე ღონისძიების/მოქმედების განხორციელებისას, სავალდებულოა საქართველოს ყველა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისთვის, საჯარო დაწესებულებებისთვის, იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის.

სახელმწიფო იღებს ყველა აუცილებელ ზომას, დაადგინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მოახდინოს ბავშვის სავალდებულო შეფასება, საქართველოს ყველა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ ბავშვის შეხედულებების მოსმენისა და ადეკვატურად განხილვის გზით. ეს ნიშნავს, რომ პროფესიონალებს და გადაწყვეტილების მიმღებებს უნდა შეეძლოთ მოუსმინონ ბავშვებს და გაითვალისწინონ მათი საუკეთესო ინტერესები მუშაობის პროცესში.

როგორია UNICEF-ის ამჟამინდელი პოლიტიკა და სამომავლო გეგმები ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით?

ჩვენ ვაგრძელებთ UNICEF-ისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინტერვენციების განხორციელებას.

ვმუშაობთ მთავრობის მხარდაჭერაზე ბავშვის უფლებათა კოდექსის განხორციელების მიმართულებით, სადაც მოიაზრება სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება, მათ შორის, შშმ სტატუსის განსაზღვრის სისტემა; მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარება ბავშვზე ორიენტირებული და სამართლიანი სოციალური პროგრამირების ხელშეწყობისთვის; დედებისა და ბავშვებისთვის პირველადი ჯანდაცვის სერვისების რეფორმირება; COVID-19-დან მიღებული გამოცდილების ინტეგრირება; სისხლში ტყვიის დონის განსაზღვრა და გარემოს საერთაშორისო დღის წესრიგის გაფართოება; სასკოლო კვების პროგრამის დანერგვა; სკოლებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენის მონიტორინგი; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და ზრუნვის სტანდარტების დანერგვა და განათლების კოდექსის შემუშავება; სკოლამდელი და ზოგადი განათლების ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მასწავლებელთა გაძლიერება; საგანმანათლებლო ინოვაციების პილოტირება, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების; არაფორმალური განათლების საპილოტე პროგრამების შემუშავება, მათ შორის, სკოლის შემდგომი აქტივობები; დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაგრძელება და ალტერნატიული ზრუნვა; ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართვიანობა; ბავშვებისთვის მეგობრული მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება; ეროვნული ახალგაზრდული სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება; ბავშვებისა და ახალგაზრდების ფსიქოსოციალური/ფიზიკური განვითარება, ასევე ბავშვებისა და მოზარდების შესახებ მონაცემთა შეგროვება/ანალიზი და სიტუაციის მონიტორინგი.

ნუკა ფრუიძე
UNICEF-ის განათლების ოფიცერი

მშობლების დედაენა

პოზიტიური აღზრდის მეთოდების გამოყენებაში მშობლების დახმარების მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდმა, ევროკავშირის მხარდაჭერითა და სპეციალისტებთან თანამშრომლობით, შექმნა ინტერაქტიული საგანმანათლებლო რესურსი „მშობლების დედაენა“, რომელიც წარმოგვიდგენს მარტივ, კონკრეტულ და ეფექტურ რჩევებს იმასთან დაკავშირებით, თუროგორ შევცვალოთ ქცევა, რათა დავძლიოთ არსებული გამოწვევები ბავშვებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და როგორ გავხდეთ უკეთესი მშობლები.

მშობლების უმრავლესობა ცდილობს, საუკეთესო მისცეს შვილებს და ამას ისე აკეთებს, როგორც შეუძლია და როგორც სჯერა, რომ სწორია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის გაჩენა და მისი აღზრდა ძალიან ბუნებრივი რამაა, აღზრდის მეთოდი არ არის ბუნებრივი მოცემულობა. ეს არც ისე მარტივია და მშობლობის გზა ბევრ სიხარულთან ერთად შეიძლება ბევრი გამოწვევითაც იყოს გაჯერებული. მშობლობა, რომელიც წარმოადგენს ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებული ქცევის, ემოციების, ცოდნის, რწმენის, შეხედულებების, ურთიერთობისა და პრაქტიკის ერთობლიობას, შეიძლება პროფესიადაც აღვიქვათ, რადგან, როგორც ნებისმიერი სხვა პროფესია, მშობლობაც მოითხოვს გარკვეულ ცოდნასა და უნარებს, რომელიც საჭიროა ბავშვის პოზიტიური მიდგომებით აღზრდისათვის, მისი მხარდაჭერისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ცოდნა არ გულისხმობს ყოველთვის მის ქცევაში გადმოტანას. ამის ბევრი მაგალითი არსებობს – ჩვენ შეიძლება ვიცოდეთ, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი (ვარჯიში, სუფთა ჰაერი, მავნე ნივთიერებებისგან თავის შეკავება და სხვა) ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ვერ ვახერხებდეთ ამ წესით ცხოვრებას. მშობლობის შემთხვევაშიც შეიძლება გვქონდეს მსგავსი სიტუაცია – საქართველოში გვყავს მშობლები, რომლებიც არ ეთანხმებიან ძალადობრივი აღზრდის მეთოდების გამოყენებას, თუმცა მაინც აკეთებს ამას.

ბოლო კვლევების მიხედვით, 1-14 წლის ბავშვების მშობელთა მხოლოდ 8% ფიქრობს, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯა აუცილებელია. მიუხედავად ფიზიკური ძალადობის მომხრე მშობლების მცირე რაოდენობისა, 1-14 წლის ბავშვების დაახლოებით 35%-ს მაინც





სჯიან ფიზიკურად ოჯახებში. ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების 69%-ის მიმართ კი ხდება ძალადობრივი—როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური—აღზრდის მეთოდების გამოყენება. ეს ერთობ პარადოქსული ვითარება შეიძლება რამდენიმე მიზეზით აიხსნას. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ბავშვის აღზრდის მეთოდების ცვლილებას, არის პოზიტიური აღზრდის მიდგომების შესახებ ცოდნის ნაკლებობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართალია, ბევრი მშობელი არ ეთანხმება ფიზიკური დასჯის მეთოდებს, მაგრამ მაინც იყენებს ასეთ მიდგომებს, რადგან არ იცის, როგორ გაუმკლავდეს სხვადასხვა სიტუაციას ძალადობის გარეშე. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ ძალიან ეფექტურ საშუალებად შეიძლება მოგვევლინოს მშობელთა გაძლიერება პოზიტიური მშობლობის მიდგომების გამოყენებაში.

პოზიტიური მშობლობა ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და გულისხმობს ბავშვის აღზრდის პროცესში მზრუნველი, მხარდამჭერი, არაძალადობრივი ქმედებებისა და მიდგომების გამოყენებას. მშობელი, რომელიც პოზიტიურ მიდგომებს იყენებს, აღიარებს ბავშვს და ცდილობს, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით გააძლიეროს იგი, დაეხმაროს პრობლემების აღმოფხვრაში. ბავშვის პოზიტიური აღზრდა ნიშნავს დადებითზე ფოკუსირებას — ხშირად შექებას და იშვიათად საყვედურის გამოცხადებას, სასურველი ქცევის დაფასებასა და წახალისებას და ცუდი ქცევის იგნორირებას...

უნიკალური რესურსი „მშობლების დედაენა“, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ციფრული სახით ონლაინ პლატფორმაზე imshoble.ge, მშობლებისა და მზრუნველებისთვისაა განკუთვნილი და პოზიტიური მშობლობის დანერგვაში მათ მხარდაჭერას ისახავს მიზნად. რესურსის სათაური და სტრუქტურა მიჰყვება ყველასათვის კარგად ნაცნობ „დედაენის“ სახელმძღვანელოს. პოზიტიური აღზრდის მეთოდებზე სასარგებლო რჩევების გარდა, მასში მოცემულია ინფორმაცია ძალადობის ისეთი ფორმების შესახებ, რომელსაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეიძლება არც მიიჩნევდეს ძალადობად,





მაგალითად, კუთხეში დაყენება, ყურის აწევა, საკვების დაძალება, ბავშვის წარმატების უგულებელყოფა და სხვა.

ონლაინ პლატფორმა imshoble.ge დამატებით გვთავაზობს „მშობლების დედაენის“ საფუძველზე შექმნილ ონლაინ კურსს, რომელიც ინტერაქტივისა და მარტივი შეკითხვების საშუალებით აძლევს მშობლებს შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ და გადააფასონ ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული მავნე შეხედულებები, რომლებიც ხან ანდაზების, ხან კი უბრალო გამონათქვამების სახით გვხდება ყოველდღიურობაში.

„მშობლების დედაენა“ ავტორებმა უკვე წარადგინეს მშობელთა არაერთი ჯგუფის წინაშე და ის ძალიან დიდი ინტერესით მიიღო საზოგადოებამ. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები ამ რესურსს ახასიათებენ როგორც ძალიან მნიშვნელოვანს, პრაქტიკულს და, რაც მთავარია, საჭიროსა და დროულს. მშობლები ამბობენ, რომ საკუთარი თავი ამოიცნეს დედაენაში და აღნიშნავენ, რომ ეს რესურსი ერთგვარ გამოფხიზლების სიგნალად და საკუთარი მშობლობის მიდგომებზე დაფიქრების მიზეზად იქცა. ზოგიერთი მათგანი იმასაც გვიყვება, რომ ბევრი რამ შეცვალა და ახლა უფრო მეტად აღიარებს და აფასებს ბავშვის ძალისხმევასა და წარმატებას.

პოზიტიურ ჭრილში წარმოდგენილი, საინტერესო და სამიზნე აუდიტორიის თავისებურებებზე მორგებული რესურსი შეიძლება მნიშვნელოვანი საშუალება აღმოჩნდეს ჩვენი შვილების ბედნიერი ბავშვობისა და სათანადო მომავლის უზრუნველყოფისთვის. „მშობლების დედაენა“ სწორედ ის რესურსია, რომელიც ბევრ მშობელს დაეხმარება, უკეთ იგრძნოს თავი და გახდეს უკეთესი მშობელი.

ეკი კავთუაშვილი
არასამთავრობო ორგანიზაციის „მშობლები განათლებისთვის“ თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი

მშობლის როლი
ბავშვის განათლებაში

მშობლების პოზიტიურ მონაწილეობას არასრულწლოვანი შვილების ცხოვრებაში გრძელვადიანი სარგებლის მოტანა შეუძლია არა მხოლოდ ცალკეული ბავშვისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის. კვლევები აჩვენებს, რომ ბავშვის სწავლის პროცესში მშობელთა ზომიერად აქტიური მხარდამჭერი ჩართულობა ძლიერ კავშირშია პატარების სოციალურ-ემოციურ განვითარებასთან, აკადემიურ მოსწრებასა და მომავალში წარმატების მიღწევის შესაძლებლობასთან.

დადგენილია, რომ ბავშვის განათლებაზე, გარდა სასკოლო რესურსებისა, ინფრასტრუქტურისა და მასწავლებლების კომპეტენციისა, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოჯახურ მდგომარეობასაც. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ოჯახი ბავშვების განათლებაზე გავლენის მქონე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სპეციალისტები ხშირად ასახელებენ შემდეგ ცვლადებს: აქვთ თუ არა მშობლებს უმაღლესი განათლება; აქვს თუ არა ბავშვს სათანადო მხარდაჭერა ოჯახიდან, რომ მშვიდ გარემოცვაში შეძლოს მეცადინეობა; ადრეული ბავშვობიდან მიუწვდება თუ არა ხელი წიგნებსა და სხვა შემეცნებით რესურსებზე; უთმობს თუ არა ოჯახი სათანადო ყურადღებას ბავშვის ჯანსაღ კვებას, ფიზიკურ აქტიურობას და დროულ უწყვეტ ძილს. საქართველოში გავრცელებული პრაქტიკაა, რომ მშობლებმა, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი გააკეთონ, რათა შვილებს კარგი განათლება მისცენ. თუმცა, სპეციალისტებისგან განსხვავებით, ბევრი მშობლისთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, თუ რომელ ასაკში როგორი მხარდაჭერა სჭირდება ბავშვს და რა ახდენს დადებით გავლენას მის განვითარებაზე. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არც თუ იშვიათად შევხვდებით, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ასწავლიან რამდენიმე უცხო ენას, მათემატიკას და სხვა ისეთ საგნობრივ კომპეტენციებს გადასცემენ, რაც მათი ასაკისთვის შეუსაბამო და დამაზიანებელიც კი არის.

ამ სტატიაში მშობლის მართებულ მონაწილეობაზე ვისაუბრებთ, თავს მოვუყრით საინტერესო რესურსებს, მოვიხმობთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ გაჟღერებულ მტკიცებულებებზე დამყარებულ მოსაზრებებს, თემატურად

განვიხილავთ მშობლებისთვის აქტუალურ საკითხებს და საბოლოო ჯამში, პასუხს გავცემთ ძირითად შეკითხვებს, რომლებიც ბავშვის განათლების პროცესში მშობლის როლის გაცნობიერებაში დაგვეხმარება.

- რა და როგორ ვასწავლოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვს?
- როგორ შევაყვაროთ შვილს წიგნის კითხვა?
- როგორ ჩავერთოთ სწორად შვილის სასკოლო ცხოვრებაში?
- როგორ დავეხმარო შვილს საშინაო დავალების მომზადებაში?
- როგორ ავუმაღლოთ შვილს სწავლის მოტივაცია?

რა და როგორ ვასწავლოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვს?

6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს ფსიქოლოგები გვირჩევენ, გავმიჯნოთ ერთმანეთისგან **სწავლა** და **დასწავლა**. სწავლა ისეთი პროცესია, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში სრულიად გაუცნობიერებლადაც ხდება. ბავშვი სწავლობს ყველასგან და ყველაფრისგან, რასთანაც შეხება აქვს. ხოლო დასწავლა მიზანმიმართული პროცესია, რომელსაც სჭირდება ძალისხმევა, ნებისყოფა და ყურადღების კონცენტრაცია. 6 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურება ის არის, რომ მისი წამყვანი ქცევა თამაშია. ამ პერიოდში ბავშვს არ აქვს სასწავლო უნარ-ჩვევები.

ამიტომ სპეციალისტები რეკომენდაციას გვაძლევენ, რომ მშობლებმა აქცენტი გავაკეთოთ თამაშზე და არა მეცადინეობაზე.

მაშინაც კი, თუ ბავშვს თავად აქვს სურვილი სკოლამდელ ასაკში ისწავლოს წერა, კითხვა და/ან ანგარიში, ამისთვის საჭირო არ არის კერძო მასწავლებლის დაქირავება და შვილის გაკვეთილებზე ტარება, რადგან შესაძლოა, რეგულარულმა და ერთფეროვანმა აქტივობებმა დემოტივაცია გამოიწვიოს. საკმარისი იქნება, თუ ბავშვისთვის საინტერესო მასალას თამაშით მივაწვდით, რადგან სკოლამდელ ასაკში ბავშვი თამაშით სწავლობს ცხოვრებას. ამ დროს ხდება მისი უნარების განვითარება, მისი შესაძლებლობების რეალიზება, მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმოსახვითი და როლური თამაშებია. შესაბამისად, მშობლებმა მთელი ძალისხმევა იქით უნდა მივმართოთ, რომ ბავშვს ჰქონდეს თამაშის შესაძლებლობა, რათა თამაშით შეიმეცნოს სამყარო, მოემზადოს ცხოვრებისთვის და ჰქონდეს კეთილდღეობის განცდა.

6 წლამდე ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გულისხმიერებით მოვეკიდოთ ბავშვის შემეცნებით ინტერესებს, გავცეთ კორექტული პასუხები მის შეკითხვებს, დავაკმაყოფილოთ მისი ინტერესები; ვეთამაშოთ და ვესაუბროთ ბავშვს ყოველდღე, რათა ხელი შევუწყოთ და წავახალისოთ, რომ უკეთ შეიმეცნოს გარემო; მივცეთ საკმარისი დრო, რათა დაუფიქრდეს მოვლენებს და შეძლოს აღმოჩენის გზით სწავლა; გავუმარტივოთ რთული ამოცანები და განვუსაზღვროთ ამ ამოცანების გადასაჭრელად დასახული ნაბიჯების თანმიმდევრობა; დღის განმავლობაში ჩავრთოთ ბავშვი მრავალფეროვან მოქმედებებში, რათა შევუნარჩუნოთ მაღალი მოტივაცია და ინტერესი.

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი სტრატეგიების დახმარებით, შევძლებთ მოვამზადოთ ბავშვი სკოლისთვის – იგი შეძლებს ყურადღების კონცენტრაციას, აზრის გამოხატვას, რთულ სიტუაციაში გამოსავლის მოძებნას, ინფორმაციის მიღებას, გააზრებასა და გამოყენებას, რაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ჩვენი პატარა მომზადებული შეხვდეს სასკოლო გარემოს და სასწავლო მასალას.

როგორ შევაყვაროთ შვილს წიგნის კითხვა?

ბევრი მშობელი წუხს იმის გამო, რომ მის შვილს წიგნის კითხვა არ უყვარს. თანამედროვე სამყაროში, ინტერნეტისა და მრავალფეროვანი გაჯეტების ეპოქაში წიგნი განვითარების ერთადერთი საშუალება ნამდვილად აღარ არის; თუმცა, რადგან წიგნიერება საბაზისო უნარია, რომელზეც ყველაფერი დანარჩენი უნდა დაშენდეს, მის განვითარებაზე ზრუნვა დღევანდელი მშობლების ერთ-ერთ მოწინავე ამოცანად რჩება.

მაშ, როდის დავიწყოთ ზრუნვა, რომ ჩვენს შვილს კითხვა უყვარდეს? რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩვილობაში, სქელფურცლებიანი, რელიეფური და ფერადნახატებიანი წიგნებით იწყება. სურათებიანი წიგნები ბავშვებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ილუსტრაციების საშუალებით აღიქვამენ ისინი ნახატისა და ტექსტის ერთობლიობას. თუ ოჯახის წევრები თვითონაც ვკითხულობთ და ბავშვისთვის წიგნის წაკითხვის ოჯახური ტრადიციაც გვაქვს, მეტად შესაძლებელია, რომ ჩვენს შვილს წიგნის კითხვა შეუყვარდეს, თუმცა ეს ყველაფერიც ვერ იქნება გარანტია, რომ ბავშვი კარგ მკითხველად ჩამოყალიბდება. მაშ რა ვქნათ?

სპეციალისტები მშობლებს გვირჩევენ:

1. ბავშვმა თავად შეარჩიოს წიგნი. თუ ჩვენ გვინდა კითხვისგან სიამოვნება მიიღოს, რაც მოსწონს და რაც აინტერესებს, ის უნდა წაიკითხოს.

ამიტომ ვენდოთ და არ გავაკრიტიკოთ ბავშვის არჩევანი მაშინაც კი, თუ არ მოგვწონს. ამით ხელს შევუწყობთ ბავშვს, ქცევად ჩამოუყალიბდეს კითხვა.

2. გვქონდეს წიგნებთან დაკავშირებული რიტუალები, მაგალითად, ერთად წავიდეთ წიგნების მაღაზიაში, იქვე გადავფურცლოთ და ადგილზე გავეცნოთ წიგნს ან თვითონ გავაკეთოთ ხელნაკეთი წიგნები, მოვიგონოთ ამბები, ჩავიწეროთ, დავასურათოთ და ძაფით ავკინძოთ.
3. ერთად ან რიგრიგობით ვიკითხოთ და განვიხილოთ წიგნები. ერთად ვუყუროთ ფილმებს და ვიმსჯელოთ წაკითხული წიგნების ეკრანიზაციაზე.
4. არ შევადაროთ ერთმანეთს წიგნი და კომპიუტერი, რადგან ამ ორ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული კოგნიტური პროცესები მიმდინარეობს. წიგნი და კომპიუტერი ერთმანეთის კონკურენტი არ არის.
5. და რაც მთავარია, არასდროს დავსაჯოთ ბავშვი წიგნის წაკითხვით. ასეთ შემთხვევაში იგი იფიქრებს, რომ წიგნის კითხვა იმდენად საძულველი რამ არის, სასჯელადაც კი გამოიყენება.

ზედმეტი ყურადღება არც მაშინ მივაქციოთ ამ საკითხს თუ ბავშვი ბევრს კითხულობს. პატარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მშობლები მათ მრავალმხრივ ვხედავდეთ და ვაფასებდეთ. შესაბამისად, ერთი რომელიმე ნიშნით მათი გამორჩევა, თუნდაც ეს პოზიტიური ნიშანი იყოს, გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება სარგებელზე მეტად ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

როგორ ჩავერთოთ სწორად შვილის სასკოლო ცხოვრებაში?

მშობლები ბავშვების განათლებაში სხვადასხვა გზით შეიძლება ჩავერთოთ. მაგალითად, მონაწილეობა მივიღოთ ჩვენი შვილების ყოველდღიურ საშინაო აქტივობებში (რაზეც ზევით უკვე ვისაუბრეთ); დავაკვირდეთ მათ პროგრესს; ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვატაროთ შვილები კულტურის ცენტრებში; გვქონდეს კომუნიკაცია მასწავლებლებთან და სკოლის დირექციასთან; შევძლოთ ადეკვატურად რეაგირება სასკოლო პრობლემებზე; ჩავერთოთ მოხალისეობრივ აქტივობებში და სხვ.. თუმცა, როცა საქმე ეხება მშობლების მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში, აქ მხოლოდ მშობლის მზაობა და კომპეტენცია საკმარისი არ არის. იმისთვის, რომ მშობელმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულება, მნიშვნელოვანია მასთან თანამშრომლობის სურვილი, მზაობა და კომპეტენცია სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებსაც ჰქონდეთ.

მშობელთა ეფექტური ჩართულობისთვის საჭიროა:

ცხადია, ვერც ამ და ვერც სხვა ჩარჩოში 12-წლიანი პროცესის ყველა ნიუანსი ვერ მოხვდება, თუმცა ჩვენ შეგვიძლია ცალკე ქვეთავებში განვიხილოთ ყველაზე აქტუალური საკითხები, სადაც მშობლის სწორი მონაწილეობა უფრო მკაფიოდ ჩანს.

როგორ დავეხმარო შვილს საშინაო დავალების მომზადებაში?

ზოგჯერ ბავშვებს სჭირდებათ დახმარება საშინაო დავალების მომზადების პროცესში, რასაც სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, დავალება გაუგებარია, დიდი მოცულობის არის, ბავშვს მოტივაცია არ აქვს და ა.შ.. ყველაზე ცუდი, რაც ამ პროცესში შეიძლება მშობლებმა გავაკეთოთ, პრობლების გადასაჭრელად 2 რადიკალური გზის გამოყენებაა: ა) უგულებელვყოთ ბავშვის პრობლემა; ბ) ჩვენი ხელით შევასრულოთ საშინაო დავალება. სპეციალისტები ამბობენ, რომ ორივე გზა ერთნაირად დამაზიანებელია. მშობლები ხშირად მესამე გზასაც მივმართავთ და, საშინაო დავალებების შესრულებაში დასახმარებლად, ბავშვისთვის რეპეტიტორს ვქირაობთ. ამ შემთხვევაში მკაფიოდ უნდა გვესმოდეს, რომ თუ დამატებითი

სკოლის როლი	მშობლის როლი
სკოლა მოსწავლეთა ოჯახებისადმი მეგობრულ გარემოს ქმნიდეს	მშობელი კეთილგანწყობილი იყოს სკოლის მიმართ
სკოლა ამცირებდეს ბარიერებს და მშობლებთან შეთანხმებით ადგენდეს თანამშრომლობის წესებს	მშობელი მონაწილეობდეს წესების შედგენაში და იცავდეს სასკოლო წესებს
სკოლა წინასწარ ათანხმებდეს მშობლებთან ურთიერთობის გეგმა-კალენდარს	მშობელი წინასწარ ემზადებოდეს სკოლასთან თანამშრომლობისთვის
სკოლა აცნობდეს მშობელს, როგორი მხარდაჭერა სჭირდება მასწავლებელს და მოსწავლეს მისგან	მშობელი აცნობდეს სკოლას საკუთარ ხედვებს, რესურსებს და სთავაზობდეს თანამშრომლობას

სასკოლო სივრცესა და ვებგვერდებზე გამოქვეყნებული იყოს მშობლებისთვის მამოტივირებელი შინაარსის პოსტერები	მშობელმა იცოდეს, რომ სკოლა აფასებს მის როლს და მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში
სკოლის თანამშრომლები იყენებდნენ SMS-ებს, სატელეფონო ზარებს, E-mail-ს, რათა რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას მშობლებს, მათი შვილების პროგრესისა და წარმატების შესახებ	მშობელი მხოლოდ კი არ ისმენდეს ინფორმაციას სკოლისგან, არამედ აკეთებდეს უკუკავშირს, ღიად და კონსტრუქციულად გამოხატავდეს აზრს მიმდინარე მოვლენებზე. მშობელი ენდობოდეს სკოლას, მაგრამ, ამავე დროს, ადეკვატურად რეაგირებდეს სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურობაზე

მასწავლებელი გვჭირდება, სკოლაში რაღაც წესრიგში არ არის და საჭიროა მეტი დრო და ენერგია დავუთმოთ სასკოლო პრობლემების აღმოფხვრას.

ბავშვები განსხვავებულები არიან; სახლში მეცადინეობისა და/ან დავალების შესრულების პროცესიც ძალიან ინდივიდუალურია. პირველ რიგში, უნდა გავერკვეთ, როგორი ტიპის ბავშვია ჩვენი შვილი? რას ითხოვს ჩვენგან? შესაძლოა, მას ემოციური მხარდაჭერა და ჩვენი გვერდით ჯდომა იმისთვის კი არ სჭირდება, რომ ჩვენ დავუწეროთ დავალება, არამედ იმისთვის, რომ გავამხნევოთ, შევაქოთ მისი ძალისხმევა. ცხადია, ამას სჭირდება დრო და მოთმინება, რაც მშობლებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ამის გარეშე, შესაძლოა, ჩვენს შვილს მიზნის მიღწევა გაუჭირდეს, განსაკუთრებით დაწყებითი სკოლის ეტაპზე, სანამ მეცადინეობა უნარ-ჩვევად ჩამოუყალიბდება.

თუ ვხედავთ, რომ, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, საშინაო დავალების შესრულების დროს ბავშვი ტანჯვას განიცდის, გარდაუვალი აუცილებლობაა, მივმართოთ საგნის პედაგოგს; ჩავაყენოთ ის საქმის კურსში; ერთად ვიმსჯელოთ, რა შეიძლება იწვევდეს ამ სირთულეს; საკითხს საქმიანად მივუდგეთ და კონფლიქტის გარეშე ვეძებოთ არა დამნაშავე, არამედ გამოსავალი.

ძალიან ხშირად ეს სირთულე ბავშვის სიზარმაცეს ბრალდება და იწყება კონფლიქტი მშობელსა და შვილს შორის, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ის, რასაც ჩვენ სიზარმაცეს ვეძახით, სინამდვილეში მოტივაციის არარსებობაა. ამ დროს ოჯახი და სკოლა ერთად უნდა შეეცადოს, აუმაღლოს ბავშვს სწავლის მოტივაცია.

როგორ ავუმაღლოთ ბავშვს სწავლის მოტივაცია?

მშობლები ხშირად ჩივიან, რომ ბავშვს ინტერესები არ აქვს; სწავლის დროს ხელოვნურად ახანგრძლივებს; ცდილობს თავი დააღწიოს მეცადინეობას, რადგან ეს პროცესი მას არ სიამოვნებს. მშობლებმა უნდა ვიცოდეთ, რომ სწავლის პროცესზე აღმასრულებელი ფუნქციებია პასუხისმგებელი. თუ ჩვენ დარწმუნებული არ ვართ, რომ ჩვენს შვილს აღმასრულებელი ფუნქციები კარგად აქვს განვითარებული, უმჯობესია საქმეში ნეიროფსიქოლოგი ჩავრთოთ. თუ ვხედავთ, რომ ბავშვი კარგად იმახსოვრებს და საჭიროებისამერ იყენებს ყველა სხვა ინფორმაციას, გარდა გაკვეთილებისა, შეუძლია იმპულსის შეკავება, გადავადება, დაგეგმვა, ყურადღების კონცენტრაცია, მაშინ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მას უბრალოდ მოტივაცია სჭირდება სწავლისთვის.

თანამედროვე ბავშვების გაკვეთილებით დაინტერესება ადვილი არ არის; ამიტომ მნიშვ-

ნელოვანია, დავანახოთ ბავშვს სკოლაში ნასწავლის ცხოვრებასთან კავშირი და სწავლაში ჩავრთოთ მულტიმედია მეთოდები, რაც აღემატება მშობლის ძალებს. ეს საკითხი მასწავლებლის დასარეგულირებელია, ხოლო მშობლის როლი აქ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ, აქტიური უკუკავშირი მისცეს პედაგოგს, მეორე მხრივ კი, იყოს ნაკლებად მკაცრი, კეთილგანწყობილი სწავლის პროცესის მიმართ, ხშირად წაახალისოს ბავშვი, შეუქოს გაწეული ძალისხმევა, გამოჩენილი მონდომება, შესრულებული ნამუშევარი, შეადაროს წარსულში თავის თავს და არა სხვა ბავშვს. იმავდროულად, უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ ბავშვს ჰქონდეს ადეკვატურად მაღალი თვითშეფასება.

და რაც მთავარია, ვიყოთ ორიენტირებული არა შედეგზე, არამედ პროცესზე; არა სტატუსზე, არამედ განვითარებაზე; არა ქულებზე, არამედ ნასწავლზე. ნუ მოვითხოვთ ბავშვებისგან ყველა დავალების იდეალურად შესრულებას; ნუ დავავალდებულებთ ყველაფრის სწორად გაკეთებას; მივცეთ მას შეცდომის დაშვების უფლება, რადგან სწავლა შეცდომის გარეშე არ არსებობს.

და ბოლოს, თუ გვინდა, რომ ჩვენს შვილს სწავლა უყვარდეს, ჩვენ თვითონ უნდა გვჯეროდეს, რომ სწავლა სიკეთეა.

გამოყენებული რესურსები:

1. სკოლამდელი განათლების სტანდარტი: http://ncp.ge/ge/preschool-education/general-part/brief-review-of-learning-and-development-fields/stsavlisadmi-midgoma
2. თამარ გაგოშიძის ვიდეო ბლოგი: ვათამაშოთ თუ ვამეცადინოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვი https://mshobeltaskola.ge/?p=963
3. სურათებიანი წიგნების მნიშვნელობა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის http://mastsavlebeli.ge/?p=19152&fbclid=IwAR3oxSeoklvAkx_54lUVygWMErg1XqLPG_zGuFRRZ-yGYy-JI27J8z-G_5s
4. თამარ გაგოშიძის ვიდეო ბლოგი: როგორ შევაყვაროთ ბავშვს წიგნის კითხვა https://mshobeltaskola.ge/?p=973
5. სახელმძღვანელო „მშობელთა ჩართულობა“ https://mshobeltaskola.ge/wp-content/uploads/2021/03/%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf
6. აღმასრულებელი ფუნქციის განვითარების აქტივობები http://phf.org.ge/ka/resources/agmasrulebeli-funqciis-ganvitrebis-aqtivobebi-6-18-tvis-asakis-bavshvebi-1/

თეა გალუხუსრიძე
შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი

გენდერული პალანსის

მნიშვნელობა ქვეყნისთვის

ბოლო პერიოდში, საზოგადოებაში აქტიურად გამოიყენება ტერმინები მათი შინაარსის გაუაზრებლად, არასწორი ინტერპრეტაციით, რაც პერიოდულად იწვევს ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის ან საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილებას და შესაძლოა, დანაშაულის ჩადენაც კი გამოიწვიოს. წინამდებარე სტატია მოგცემთ საშუალებას, მიიღოთ ინფორმაცია ტერმინ „გენდერთან“ მიმართებაში და საქართველოს კანონმდებლობაში გენდერული ნიშნით ჩადენილ ქმედებებზე სამართლებრივ რეაგირებასთან დაკავშირებით.

ტერმინი „გენდერი“ აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მათ საზოგადოების, ისტორიის, კულტურის, ტრადიციების და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით მიეწერებათ, სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ამდენად, გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორის გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკისა და სხვა ნიშნის შესაბამისად.

გენდერი არის ფიზიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის ადგილსა და როლს საზოგადოებაში. გენდერის ეს მნიშვნელობა თავიდან დამკვიდრდა ქალურობისა და მამაკაცურობის სოციალურ-კულტურული, ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებული კონსტრუქტის აღსანიშნად.

გენდერული თანასწორობა თანამედროვე გაგებით გულისხმობს იმას, რომ ადამიანის სქესი არ უნდა განსაზღვრავდეს მის უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებს. ასე მაგალითად, ქალს უთხრეს უარი ავტომექანიკოსად დანიშვნაზე იმის გამო, რომ იგი არის ქალი და „რა ესმის მანქანის?“. თუ შეფასდებოდა მისი, როგორც პროფესიონალის უნარ-ჩვევები და დასაქმებაზე გადაწყვეტილების მიღება ამაზე დაყრდნობით მოხდებოდა, ეს იქნებოდა თანასწორი, სამართლიანი მოპყრობა. ან/და მაგალითად, მამაკაცს უთხრეს უარი ძიძად დასაქმებაზე, ვინაიდან იგი არის მამაკაცი და „არ შეუძლია სათანადოდ ბავშვის მოვლა“. ამ შემთხვევაშიც, თუ შეფასდებოდა მამაკაცის

პროფესიონალიზმი და უნარ-ჩვევები, რაზე დაყრდნობითაც მოხდებოდა დასაქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება, ეს იქნებოდა სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა.

სასურველია, ოჯახის ყველა წევრი ერთად იღებდეს გადაწყვეტილებებს, ყველას ჰქონდეს საშუალება ღიად გამოხატოს საკუთარი აზრი, ერთად აკრიტიკებდნენ და მხარს უჭერდნენ ერთმანეთს და ამავდროულად, ოჯახში რჩებოდნენ დამოუკიდებელ და პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდებად; ეს ყოველივე ბავშვებსაც ეხებათ. საზოგადოებაში ტრადიციულ და თანამედროვე შეხედულებებს შორის საკმაო განსხვავებაა, რაც ბევრ ოჯახს დილემის წინაშე აყენებს.

გენდერული როლების ტრადიციული ხასიათით ჩამოყალიბებას თავისი ისტორიული წინაპირობები ჰქონდა. გამომდინარე იქიდან, რომ პირველყოფილ ადამიანებს სჭირდებოდათ გამრავლება და გადარჩენა, მნიშვნელოვანი იყო ნადირობა, საკვებით მომარაგება, ნაშიერის დაცვა მტაცებელი ცხოველებისგან. ქალებს ხშირი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვების მოვლის გამო უწევდათ სახლში ყოფნა და შთამომავლობაზე ზრუნვა, კაცებს კი უწევდათ სახლის გარეთ მუშაობა, ნადირობა და სხვა გზით საკვების მოპოვება.

დღეს, როდესაც ქალს შეუძლია აკონტროლოს შობადობა, როდესაც ადამიანებს არ უწევთ ცხოველებისაგან თავის დაცვა და სარჩოს მოპოვებაც აღარ არის დამოკიდებული ნადირობაზე, გენდერული როლების ძველებური დანაწილება აზრს კარგავს. საუკუნეები დასჭირდათ ქალებს, რომ მოეპოვებინათ იგივე უფლებები და თანასწორი სტატუსი კაცებთან მიმართებაში. ბევრი ქალი დღეს ახერხებს, იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით, თავად დაგეგმოს საკუთარი ოჯახი და ჰქონდეს მისთვის სასურველი კარიერა. თუმცა, სხვადასხვა საზოგადოებაში კვლავ მიიჩნევენ, რომ ქალის მთავარი ფუნქცია შვილების გაჩენა და დედობაა. თუ ოჯახში დამკვიდრებულია ტრადიციული გენდერული როლები, ასეთ ოჯახებში ქალებს და გოგონებს კვლავ უწევთ საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლა და მტკიცება, რომ ისინი კაცების თანასწორნი არიან.

ტრადიციულ ოჯახურ სისტემაში, სადაც დედა მხოლოდ საშინაო საქმეს ასრულებდა, მამა კი სახლის გარეთ მუშაობდა, ბავშვების მოვლა და აღზრდა მეტწილად ქალზე იყო დაკისრებული,

რაც ქალს არ აძლევდა კარიერული განვითარების საშუალებას, კაცს კი იმდენად უზღუდავდა როლს ოჯახში, რომ ბავშვებს ხშირად გაუცხოებული დამოკიდებულება და შიში ჰქონდათ მამის მიმართ.

თანამედროვე ცხოვრების სტილით, ორივე მშობელი დაკავებულია სახლის გარეთ შრომით, საჭირო ხდება ბავშვის აღზრდაში აღმზრდელობითი ინსტიტუციების ჩართვა, როგორიცაა საბავშვო ბაღი, სკოლა. ხშირად ბავშვის აღზრდაში ბებია-ბაბუები და ძიძებიც მონაწილეობენ. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა გამონახონ დრო, რომელსაც შვილებთან ხარისხიანად გაატარებენ. შვილის აღზრდა უპირველესად მშობლის მოვალეობაა. ბალანსის დაცვა სამსახურს, სახლის საქმეებსა და მშობლობას შორის საკმაოდ რთულია, ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, რომელმაც უნდა შექმნას ისეთი სამუშაო გარემო ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია მშობლობისა და კარიერის დაბალანსება. ამასთან, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, ბავშვები მომზადებულნი უნდა იყვნენ ოჯახურ საქმეებში მონაწილეობისათვის. ეს მათ დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ მშობლების მდგომარეობა, ჩაერთონ საერთო ოჯახურ მეურნეობაში და შეიძინონ ის აუცილებელი უნარები, რომელიც საჭიროა დამოუკიდებელი ცხოვრების მისაღწევად. ნებისმიერ ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარ თავზე სრულფასოვნად ზრუნვა.

ბავშვებისათვის:

თანასწორ საზოგადოებაში ცხოვრება თითოეული ჩვენგანის ხელშია. არავის არ აქვს უფლება, გაიძულოთ შექმნათ ოჯახი, განურჩევლად იმისა ქალი ხართ თუ ვაჟი, არათანაბრად გადაგინაწილოთ ქონება, არ მოგცეთ განათლების მიღების უფლება და შეგიზღუდოთ სხვა უფლებები, რადგან ხართ ქალი ან რადგან ხართ მამაკაცი. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ამგვარ დათქმებს არ სცნობს.

საქართველოს კანონმდებლობით, ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია 18 წლიდან. ნიშნობა (როგორც ოჯახის შექმნის წინა რიტუალი) არ წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს, მაგრამ თუ აღნიშნულსაც სურვილის გარეშე აქვს ადგილი, განიხილება ქორწინების იძულებად.

თუ ხორციელდება დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით (იმიტომ, რომ ხართ ქალი ან იმიტომ, რომ ხართ კაცი) თქვენზე ან თქვენთვის ცნობილი გახდა სხვა პირის მიმართ განხორციელებული ამგვარი ქმედების შესახებ, გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით (მაგალითად: იმიტომ, რომ არის ქალი და უნდა დაემორჩილოს მამაკაცის გადაწყვეტილებას ან/და ოჯახის ტრადიციას, ან/და ოჯახში შემომტანი უნდა იყოს კაცი, განათლება უნდა მიიღოს მხოლოდ კაცმა და ა.შ. და აღნიშნული ხორციელდება იძულებით, ძალადობით, ძალადობის განხორციელების მუქარით და სხვა), მიმართეთ პოლიციას.

მშობლებისათვის:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ქორწინება დასაშვებია 18 წლის ასაკიდან.

ქორწინების იძულება სისხლის სამართლის დანაშაულია. არ აქვს მნიშვნელობა, აღნიშნულ იძულებას ახორციელებს ოჯახის წევრი თუ სხვა პირი. არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ქორწინების იძულება ამძიმებს პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის.

ქალ და ვაჟ შვილებს ოჯახში თანაბარი უფლებები გააჩნიათ, როგორც სამოქალაქო, ასევე საოჯახო საკითხებთან მიმართებაში (მაგალითად: ქონება არ გადადის ვაჟზე ან უმცროსი ასაკის შვილზე. ყველა შვილს თანაბარი უფლებები გააჩნია ქონების მისაღებად და სხვა).

დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით ოჯახის წევრების მხრიდან, გაცილებით მეტი უარყოფითის მომტანია არასრულწლოვნის არამხოლოდ ეკო-

ნომიკური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობისათვის, ის უარყოფითად მოქმედებს მოზარდის სრულფასოვან განვითარებაზე.

გახსოვდეთ, რომ ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი, მათ შორის: ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნით დაუშვებელია. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ამ საკითხში იქნება ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი არასრულწლოვანთა მხრიდან მსგავსი დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებების აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის.



თუ ხედავთ, რომ თქვენი შვილი ძალადობის მსხვერპლია, ნუ გაჩუმდებით, **მიმართეთ შესაბამის სამსახურებს.**

პედაგოგებისათვის:

თუ ხედავთ, რომ:

- ხდება მოსწავლის დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით;
- არასრულწლოვნის მიმართ ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული,

მიმართეთ შესაბამის სამსახურებს.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის №437-ე დადგენილების თანახმად: მათ შორის, მანდატურის სამსახური, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების სერვისის მიმწოდებლები, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, ვალდებულნი არიან, შეავსონ ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი (დანართი №2), რომელიც ეგზავნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართ-

ლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით, ფაქსით ან, არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას, გამოიძახონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სააგენტოს შეატყობინონ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით. აღნიშნულის შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1726 მუხლის დარღვევას და გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას.

აქვე, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, ამძიმებს სასჯელის ზომას.

გვახსოვდეს: დისკრიმინაციული მოპყრობისაგან თავისუფალი, ჯანსაღი საზოგადოება, ცნობიერების მაღალი დონე, დანაშაულის პრევენცია, ისევე, როგორც მავნე სტერეოტიპების მსხვრევა, განათლებით იწყება. ძალადობა კი შობს ძალადობას. გაწყვიტეთ ძალადობის ჯაჭვი.

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
4. საქართველოს პატრლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ენციკლოპედიური ლექსიკონი;
5. CSS – ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში;
6. კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“;
7. კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“;
8. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის რეკომენდაცია „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიება“;
9. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

თუკი თქვენ მიმართ ჩადენილია დანაშაული ან შეესწარით მსგავსი დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მიმართეთ პოლიციას, დარეკეთ 112-ზე ან/და გამოიყენეთ 112-ის მობილური აპლიკაცია (112 georgia). აპლიკაციის მეშვეობით 112-თან დაკავშირება შესაძლებელია 3 გზით: ჩუმი განგაში (SOS); ოპერატორთან მიმოწერა (ჩატი); ზარის განხორციელება.

აპლიკაციის გამოყენება უფასოა, ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.



დიანა ანფიმიადი
მწერალი

რისთვის გვჭირდება საბავშვო პოეზია?

თუ პოეზიას, თავის რომელიმე გამოვლინებაში, აქვს კონკრეტული ფუნქცია და მიზანი, ეს საბავშვო პოეზიაა – ურთულესი, უზუსტესი ჟანრი. რა მიზანს ემსახურება საბავშვო პოეზია? რისთვის არსებობს? რისი საშუალებაა – მხოლოდ ესთეტიკური ტკბობის, გართობისა და შემეცნების? ენობრივი განვითარების ხელშეწყობის? მეხსიერების ვარჯიშის? ტექსტის აღქმისა და გაგების უნარების განვითარების? თამაშის? დიდაქტიკური?..

საბავშვო პოეზიას ყველა ჩამოთვლილი მიზანი აქვს და კიდევ ბევრი სხვაც. რეალურად, ეს არის პირველი შეხება ტექსტთან, რითმსა და გემოვნებასთან, იუმორსა და თამაშთან. ამიტომ არსებობს საბავშვო პოეზიის უკვდავი ფორმულები, ლექსები, რომელთა სათავე მრავალი საუკუნის გამოცდილებაში უნდა ვეძებოთ.

საუკუნეების მიღმა გაკრთება იდეა, რა დანიშნულება აქვს საბავშვო პოეზიას. მაგიური ფუნქციის – შელოცვებისა თუ ზეციური ძალებისგან ჩვილის დაცვის, ძილის მოგვრის, გათვლა-თამაშების, ენის, მეტყველებისა და მეხსიერების განვითარების გარდა, პოეზია მნიშვნელოვან სასიცოცხლო უნარებს ავითარებდა, ასწავლიდა თავის დაცვას, სივრცეში ორიენტაციას, შიშის დამარცხებას. მაგრამ ეს მაშინ იყო, უხსოვარ დროს, პოეზიის საწყისებთან.

დღეს რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს საბავშვო პოეზიას?

რამდენიმე წლის წინ საბავშვო პოეზიის ანთოლოგიისათვის ტექსტებს ვეძებდი და რას არ იპოვით აქ - ჩვენი გენიალური საბავშვო ავტორების პოეტურ ტექსტებს; სრულიად წარმოუდგენელ სიუჟეტებსა და პოეტიკას; პროსოდიკულ და რიტმულ ექსპერიმენტებს; შესანიშნავ, მდარე და საშუალო ტექსტებს; კიდევ? კიდევ ერთგვარად ფუნქციურ პოეტურ ტექსტებს; ფუნქციურში კონკრეტულად დანიშნულებას ვგულისხმობ – თუ მეცხრამეტე საუკუნის საბავშვო პერიოდიკაში ლექსებს საგანმანათლებლო, პატრიოტულ-აღმზრდელობითი როლი გამოარჩევს, მოგვიანებით, საბავშვო პოეზია აგრესიული საბჭოთა პროპაგანდის იარაღი ხდება – იწყება ლექსების ციკლი ბელადებზე, კომუნისტურ სამოთხეზე, ინდუსტიალიზაციის სიკე-

თეებზე, ხალხის მტრებსა და ბოროტ კაპიტალიზმზე. დღევანდელი გადმოსახედიდან, კითხვისას ეს პროპაგანდისტული პოეზია ერთგვარ კომიზმამდეც მიდის.

არის კიდევ ერთი ძალიან საყურადღებო ნიშანი, როგორ გადმოდის აღზრდის ტრადიციული სისტემა, მიდგომები, ხედვები საბავშვო პოეტურ ტექსტებში. ალბათ, თანამედროვე პოეზიამ თუ რამე უნდა გაითვალისწინოს, ეს ამ დამოკიდებულებებზე უარის თქმაა.

რას ვგულისხმობ?

მოდით, განვიხილოთ ერთი საბავშვო ლექსი თოვლზე. საერთოდ, ახალი წლის, ბუნების მოვლენების აღწერა საბავშვო პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. სამაგიეროდ, ნაკლებად გვაქვს ტექსტები ტიპურ სიტუაციებზე, ბულინგზე, თვითმოვლაზე, თვითაღქმისა და თვითშეფასების პრობლემებზე. ცხოველებზე დაწერილი ლექსების რაოდენობაც ბევრად მეტია ბავშვებზე დაწერილ ტექსტებთან შედარებით, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. ახლა დავუბრუნდეთ ლექსს თოვლზე.

ლექსში საუბარია თოვლის მოლოდინზე, დიდი ხანია არ თოვს და ყველა ელოდება, ბოლოს და ბოლოს, როდის მოთოვს. როგორ უნდა მოხერხდეს, რომ ასეთ მარტივ ტექსტშიც ბავშვთა უფლებებს შევეხოთ ან რამე ბავშვის დამაზიანებელი დავწეროთ? მაგრამ არა, ტექსტის ბოლოს უფროსი ეუბნება ლექსის პერსონაჟს – იქნებ, იმიტომ არ თოვს,



რომ ცუდად მოიქეცი? დაფიქრდი, რამდენად კარგი ბავშვი ხარ, რომ თოვლი მოვიდესო?

წარმოიდგინეთ, რამხელა პრობლემაა ბავშვისთვის – ჯერ ხომ იმიტომ გიწევს კარგად მოქცევა, რომ თოვლის ბაბუა მოვიდეს და თანაც საჩუქრები მოგიტანოს, კიდევ იმიტომ უნდა მოიქცე კარგად, რომ უფროსები გაახარო და მათი ქება დაიმსახურო, კიდევ იმიტომაც, რომ საზოგადოებაში მიღებული ქცევის ტიპურ ჩარჩოებს არ გასცდე და ბოლოს, იმაზე დარდიც გიწევს, შენი ქცევის გამო, თოვლმა რომ მოსვლა გადაიფიქროს, რა უნდა ქნას ბავშვმა?

კიდევ ერთი თემა ჰუმანურობაა. რასაკვირველია, ჰუმანური დამოკიდებულების გამომუშავება აღზრდის სისტემის უმნიშვნელოვანესი სპექტრია. საბავშვო ლიტერატურის მთავარი ხაზიც სწორედ ესაა – ბავშვმა მოყვასის სიყვარული, ზრუნვა, ფლორისა და ფაუნის გაფრთხილება, თანატოლებისა და უფროსების დახმარება ისწავლოს. გააცნობიეროს, რომ დაცინვა, ჩაგვრა, უგულებელყოფა, იგნორირება არ შეიძლება, რომ სიტყვიერი ძალადობაც ძალადობის ისეთივე მტკივნეული ფორმაა, როგორიც ფიზიკური. მაგრამ ხერხდება კი ეს?

თუ ქართულ ზღაპრებს, ანდაზებს, ცნობილი მწერლების იგავ-არაკებს და, ამასთანავე, საბავშვო პოეზიას გადავხედავთ, ერთ მნიშვნელოვან დეტალს აღმოვაჩენთ - სიკეთეს იმიტომ კი არ ვასწავლით, რომ თავისთავად ცხოვრების მთავარი ღირებულებაა სხვაზე ზრუნვა და სხვისი დახმარება, არამედ იმიტომ, რომ ერთხელაც ჩვენზე ძლიერი ძალა (უფროსი, ღმერთი, სამყარო) აუცილებლად შურს იძიებს ჩვენი ცუდი საქციელისათვის: დაცინვისთვის – ვირუსულ გამონაყარს გამოგვიგზავნის, დაჩაგვრისთვის – უარესად დაგვჩაგრავს, სიზარმაცისთვის – ცხოვრების უღირსი პირობებით დაგვსჯის. ეს უკიდურესად საშიში და მავნე პრაქტიკაა, რომლის შედეგიც ჰუმანიზმს აღიარებს როგორც აუცილებელ, თავსმოხვეულ იდეას იმისთვის, რომ გადარჩე.

და კიდევ ერთი საკითხი, თუ საბავშვო პოეზია ბავშვის უფლებათა კონვენციის რომელიმე მუხლს უნდა იცავდეს და პრაქტიკულ გზას უძებნიდეს, ეს უდავოდ 13-ე მუხლი იქ-

ნება, რომლის ძირითადი პოსტულატის თანახმად, „ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი“. მსჯელობა რომ გავაგრძელოთ, ამ პოსტულატს კიდევ რამდენიმე წინადადება უნდა დავამატოთ, მათ შორის ის, რომ ბავშვებს უფლება აქვთ დასვან კითხვები და პასუხებიც მიიღონ.

საბავშვო პოეზიის ბევრი ტექსტი კი ბავშვებს ბევრი კითხვის დასმის, კითხვის უცნაური, სასაცილო ფორმით დასმის გამო „აკრიტიკებს“. მაგალითად, ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო შენიშვნას აძლევს. სინამდვილეში, ყველა საბავშვო ტექსტი, პირველ რიგში, სამყაროს ამ შემეცნებას, ცნობისმოყვარეობას, კითხვების დასმის პროცესს უნდა ახალისებდეს და არა პირიქით – მშვიდი, კუთხეში წყნარად მჯდომი, ინერტული ბავშვის სახეს აიდეალებდეს.

თუ მეოცე საუკუნის საბავშვო პერიოდიკას გადავხედავთ, ეს „ოქტომბრელისა“ და „პიონერის“ იდეალური სახეა – ბავშვის, რომელიც პრობლემებს არ ქმნის.

რასაკვირველია, ეს ტრადიცია თანამედროვე საბავშვო პოეზიაში იცვლება და კიდევ უფრო მეტად უნდა შეიცვალოს. უნდა შეიცვალოს: „შენიშვნის“ კულტი, რომელიც ფსიქოლოგიური ძალადობაა; ტიპური და ნორმატიული ქცევის იდეალიზაცია; ბავშვებისგან ისეთი ფიქრის, ქცევისა და მოქმედების მოთხოვნა, რომელიც საზოგადოდ მიღებულია და კითხვას არ აჩენს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ პატარების სამყარო გაცილებით მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია, ასეთი უნდა იყოს საბავშვო პოეზიაც, რომელიც ბავშვებზე და ბავშვებისთვის იქმნება.

ნათია ალიაშვილი

სოციალური მუშაობის მაგისტრი. სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბექაური

სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ფსიქოლოგების პროფესიული ზედამხედველი

მშობლისა და მასწავლებლის

თანამშრომლობა განათლების პროცესში

განათლების უფლება ბავშვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს და ეს მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებასთან ერთად იზრდება. იზრდება, ასევე, მშობლების ჩართულობა შვილების განათლების მიღების პროცესში, რომელიც ჯერ კიდევ საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევით იწყება. სულ რამდენიმე წლის წინ თუ მშობლების ძირითადი მოთხოვნა ადმინისტრაციის/მასწავლებლის სიმკაცრე და სკოლის სახლთან ტერიტორიული სიახლოვე იყო, დღეს მდგომარეობა შეიცვალა და კრიტერიუმები საკმაოდ გამრავალფეროვნდა. იმისთვის, რომ სკოლას/მასწავლებელსა და მშობელს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია დამყარდეს, მნიშვნელოვანია, მშობლებმა კარგად შეისწავლონ, თუ რამდენად ესადაგება მათ მოლოდინებს შერჩეული საგანმანათლებლო დაწესებულება. მომავალში ეფექტიანი თანამშრომლობისთვის კარგად უნდა იქნეს შესწავლილი, თუ რამდენადაა თანხვედრაში ოჯახისა და სკოლის მიდგომები და ღირებულებები. სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მნიშვნელოვანია, მშობელს წინასწარ ჰქონდეს ინფორმაცია, თუ როგორ და რა სქემით თანამშრომლობს სკოლა მშობლებთან.

ოჯახი ის ადგილია, სადაც არასრულწლოვანი შეიმეცნებს ცხოვრების საწყისებს, ეზიარება ღირებულებებს და სწავლობს სამყაროს აღქმას, გარემოსთან კომუნიკაციას. ამის შემდეგ შემოდის ბავშვის ცხოვრებაში სკოლა და მასწავლებელი.

სკოლაზე საუბრისას განსაკუთრებით აღსანიშნავია მასწავლებლის მიერ გაწეული ძალისხმევა. სწორედ მასწავლებელია ბავშვის განათლების მიღების პროცესში უშუალოდ ჩართული პირი. მას ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში მრავალი როლი აქვს და გავლენას ახდენს მოსწავლის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. დადებითი ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებისა და სწავლის ადრეულ ეტაპზე, რადგან გრძელვადიან გავლენას ახდენს ბავშვის ქცევით, ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე.

მოსწავლე-მასწავლებლის პოზიტიურ ფაქტორებზე დაფუძნებული ურთიერთობისას, მასწავლებელი არის ბავშვის მეგობარი, მისი მხარდამჭერი და მოტივატორი მრავალფეროვანი სამყაროს

ძიების დროს. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეს სწავლის ხარისხის ამაღლებაში. სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია მასწავლებლის ავტორიტეტი. ურთიერთობის დასაწყისში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ფორმალური ავტორიტეტი, ხოლო შემდგომ იზრუნოს პირადი ავტორიტეტის მოპოვებაზე. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის ავტორიტეტზე ზრუნვა და ხელშეწყობა მშობლის მიზანსაც უნდა წარმოადგენდეს. პირადი ავტორიტეტის მოპოვება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და პროფესიონალიზმის გარდა დროსა და მთელ რიგ ქმედებებს გულისხმობს:

- გულწრფელი ინტერესის გამოხატვა თითოეული მოსწავლის სამუშაოს მიმართ, მოსწავლის წვლილის, მისი მონდომების აღნიშვნა, განურჩევლად ადრინდელი შედეგებისა და ბუნებრივი შესაძლებლობებისა;
- დადგენილი წესების დაცვა მუდმივად და სამართლიანად;
- მოსწავლეებისადმი სახელებით მიმართვა;
- მოსწავლეებისადმი თავაზიანობის გამოხატვა;
- ლექსიკონიდან სარკასტული და დამამცირებელი გამოთქმების ამოღება;
- სწავლებისა და მისი ორგანიზებისადმი პროფესიონალური მიდგომა, მაგალითად, დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული გაკვეთილები;
- შესაფერისი ჩაცმულობა;
- მოთმინება;
- სწავლების ისეთი მეთოდების შერჩევა, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, იაქტიურონ და მათი აქტიურობის წახალისება;
- ინტერესი მოსწავლეთა გრძნობების, შეხედულებებისა და მოთხოვნილებების მიმართ: „ხომ არ ღელავ გამოცდის წინ?“; „ახლა გაიგე თუ კიდევ ერთხელ ავხსნა?“
- მოსწავლის პიროვნებისადმი ინტერესისს გამოხატვა ღიმილის, თვალით კონტაქტის, ერთი-ერთზე საუბრის გზით;
- მოსწავლის პიროვნული თავისებურებების – მისი ხასიათის, ინტერესების, ჩაცმის სტილის და ა.შ. – მიღება;
- მშვიდი და თავდაჯერებული სწავლების სტილის ჩამოყალიბება, რომელიც არც ისე ფორმალურია და, სიტუაციის შესაბამისად, ეფუძნება იუმორს.

მოსწავლეებთან დადებითი ურთიერთობა ამარტივებს და სასიამოვნოს ხდის სამუშაო პროცესს, შედეგად კი მასწავლებელი იღებს პატივისცემასა და სიყვარულს.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის კონტაქტის დამყარება, წარმოიშობა ფსიქოლოგიური ბარიერი რომელიც ხელს უშლის მოსწავლეებს, იყვნენ გახსნილები, დასვან კითხვები და მიიღონ პასუხები, ითხოვონ დახმარება და ა.შ. ფსიქოლოგიური ბარიერი უარყოფითად აისახება მოსწავლეების მოტივაციაზეც. ამრიგად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მიმართოს ეფექტიან საშუალებებს და იზრუნოს პირადი ავტორიტეტის მოპოვებაზე.

სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობისთვის ერთ-ერთი განსაკუთრებული პირობაა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რაც თავისთავად გულისხმობს მასწავლებელს, ბავშვსა და მშობელს შორის აქტიურ კომუნიკაციას და მხარდაჭერას. საფეხურების მიხედვით სასწავლო მიზნები განსხვავებულია.

დაწყებითი საფეხურის მიზნებია: მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა. წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების უნარების განვითარება. გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების შექმნა და ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობად გარდაქმნა.

საბაზო საფეხურის მიზნებია: მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, დამოუკიდებლად სწავლისა და შრომის უნარის განვითარება. აქტიური მოქალაქის ფორმირება, რომელსაც აქვს მყარი, დინამიური და ფუნქციური ცოდნა.

საშუალო საფეხურის მიზნებია: მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული, პასუხისმგებლიანი მოქალაქის აღზრდა, რომელსაც აქვს სისტემური, სიღრმისეული ცოდნა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების, მიღწევების გამოყენების, ახალი მატერიალური ინტელექტუალური სულიერი ღირებულებების შექმნის უნარები.

საფეხურების მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლოა განსხვავებული იყოს მშობელთა ჩართულობის ფორმები, თუმცა მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობა ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია.

მასწავლებელს და მშობელს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან. მათ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ საგანმანათლებლო პროცესზე. ამიტომ აუცილებელია, ორივე მხარეს თავისი წილი პასუხისმგებლობები ჰქონდეს გადანაწილებული. მასწავლებლები ხშირად უნდა ესაუბრებოდნენ მშობლებს, უზიარებდნენ მოსწავლეების ყველა წარმატებას თუ გამოწვევას, კარგად უნდა იცნობდნენ მოზარდის ოჯახს. იმავდროულად, მშობელი უნდა ენდობოდეს მასწავლებელს და უზიარებდეს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც მოზარდზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს; მათ ერთი გუნდის პრინციპით უნდა იმუშაონ და პრიორიტეტად აქციონ არა საკუთარი შესაძლებლობები, სურვილები თუ მიზნები, არამედ ბავშვი.

ხშირად გვსმენია, რომ როდესაც სკოლის მასწავლებელს და მშობელს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, ჩნდება უკმაყოფილება, რამაც შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი დააზარალოს - მოსწავლეები და სასკოლო გარემო. ერთად მუშაობით კი მეტად პროდუქტიული და სასარგებლო შეიძლება გავხადოთ მოსწავლეებისთვის სასკოლო სივრცე, დავაინტერესოთ ისინი ახალი აქტივობებით; იმავდროულად, გავზარდოთ სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა.

იმისთვის, რომ მშობელსა და მასწავლებელს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია დამყარდეს, ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს მიმღებლობა. კერძოდ, მნიშვნელოვანია, მშობელიც და მასწავლებელიც თამამად საუბრობდნენ პრობლემებზე და ერთად ეძებდნენ პრობლემის გადაჭრის გზებს. პედაგოგს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა აქტივობებშია ჩართული მისი მოსწავლე, რას აკეთებს სასკოლო სივრცის მიღმა, რა ინტერესები აქვს, როგორია მისი თანატოლთა წრე? ხომ არ ჰყავს ანტისოციალური გარემო, რომელიც უცნობია ოჯახისთვის. ასეთი სახის ინფორმაციას მშობელი და მასწავლებელი დროულად უნდა უზიარებდნენ ერთმანეთს, რაც საშუალებას მისცემს ორივე მხარეს, მოახდინონ გამოწვევების დროული იდენტიფიცირება და მოძებნონ მისი გადაჭრის გზები. საგანმანათლებლო პროცესში მშობლისა და პედაგოგის თანაბარი ჩართულობის წარმატებული შედეგის მაჩვენებელია მოსწავლის უკეთესი მიღწევები.

რატომ არის მნიშვნელოვანი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მშობელს შორის?

აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე, მშობელი ყოველთვის იქნება ინფორმირებული ბავშვის თავისებურებებისა და მიზნების შესახებ; მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა, უზრუნველყოს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მასწავლებელთან ერთად, მშობელიც დაინტერესებული უნდა იყოს შვილის საგანმანათლებლო საკითხით, კერძოდ, იცოდეს მისი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეები, იცოდეს, სვამს ან პასუხობს თუ არა გაკვეთილის მსვლელობის დროს კითხვებს, რა სახის სასკოლო აქტივობებში არის ჩართული. ასევე, მიზანშეწონილია იცოდეს, ხომ არ აქვს ბავშვს სკოლის გარემოში ადაპტაციის პრობლემები. მნიშვნელოვანია, მშობელი დროულად იყოს ინფორმირებული პედაგოგისგან მოზარდის ცხოვრებაში არსებული ცვლილებების შესახებ, რადგან, როგორც ცნობილია, ადრეული ინტერვენცია უკეთესი შედეგის მომტანია. პედაგოგი მშობელს უნდა უზიარებდეს ინფორმაციას მისი შვილის შესაძლებლობების შესახებ. თუ ბავშვს აღმოაჩნდება გარკვეული ინტერესები/ნიჭი/მიდრეკილებები, მასწავლებელმა და მშობელმა ერთობლივად უნდა იფიქრონ, თუ როგორ მისცენ აღნიშნულს სწორი მიმართულება, გამოწვევების შემთხვევაში კი – იფიქრონ მათი გადაჭრის გზებზე.

დღეს მოსწავლეს, მასწავლებლისა და წიგნის გარდა, უამრავი ალტერნატიული საშუალება აქვს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად და დავალების შესასრულებლად.

საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მშობლების ჩართულობის პრაქტიკა 2020 წელს შეისწავლა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისათვის“. კვლევაში მონაწილეობნენ როგორც მშობლები, ასევე პედაგოგები და სკოლის დირექტორები, სულ – 1034 რესპოდენტი.

- კვლევაში მონაწილე სკოლის მოსწავლეთა მშობლების ინფორმაციით, ისინი არ ეცნობიან და არ ინტერესდებიან საკუთარი უფლებებით. გამოკითხულთა უმრავლესობას საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია, ჰქონდა თუ არა გაფორმებული სკოლასთან ხელშეკრულება და რა არის მისი შინაარსობრივი მხარე.

- მშობლებს აქვთ დაბალი მოტივაცია, ჩაერთონ მოხალისეობრივ პრაქტიკაში. გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მათი ინიციატივები სასკოლო გარემოს გაამრავალფეროვნებდა, თუმცა უჭირთ გაიაზრონ, თუ რა შეიძლება გააკეთონ სწორი და ეფექტიანი ჩართულობისთვის.
- კვლევამ აჩვენა, რომ მშობლები თავიანთ აზრს სკოლის კედლებში იშვიათად გამოთქვამენ. კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარი აღნიშნავს, რომ გაუზიარებია პედაგოგისთვის ინფორმაცია, დირექციამდე კი მხოლოდ 3% მიუტანია თავისი აზრი.
- მშობლებს მიაჩნიათ, რომ სკოლის მართვის საკითხებში მათ ჩართულობას ნეგატიურად აღიქვამენ პედაგოგები და სკოლის დირექტორები.
- კვლევაში მონაწილე პედაგოგებს გაუჭირდათ მშობლის უფლებების ჩამოთვლა. მშობლების მონაწილეობას პედაგოგები მაშინ მიიჩნევენ საჭიროდ, როცა კლასგარეშე შემეცნებითი აქტივობების ორგანიზება სჭირდებათ ან კლასში კონფლიქტია, სასწავლო პროცესში მონაწილეობას კი მხოლოდ შშმ და სსსმ ბავშვების მშობლებთან მიმართებაში იხსენებენ. მასწავლებლები ამბობენ, რომ მშობლებს მხოლოდ ნიშნები აინტერესებთ და ყველაზე ხშირად კომუნიკაციის თემა განმსაზღვრელი შეფასებაა.

სასკოლო განათლების პროცესში მშობლის მონაწილეობის საკითხზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ სკოლაში ჩართულობა და სწავლაში ჩართულობა. მშობელთა ჩართულობის ყველაზე ეფექტიანი მაჩვენებელია — მაღალი მოლოდინი ბავშვის მიღწევების მიმართ, კომფორტული და სწავლაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და შვილის სწავლის პროცესში გონივრული და ინტენსიური მონაწილეობა.

ზოგიერთ შემთხვევაში მშობლის მიერ შვილის სწავლის პროცესში ინტენსიურ ჩართულობას განიხილავენ როგორც მეთვალყურეობას.

სასწავლო პროცესში მშობლის ჩართულობის 6 ძირითადი ტიპი გამოიყოფა:

1. **მზრუნველობა** – როდესაც მშობელი ზრუნავს, შეძლებისდაგვარად, შეუქმნას შვილს სწავლისთვის ხელშემწყობი გარემო;
2. **კომუნიკაცია** – როდესაც მშობელი იყენებს სკოლიდან სახლში და სახლიდან სკოლაში ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა არხს სასწავლო პროგრამებისა და მოსწავლის პროგრესის შესახებ;
3. **მოხალისეობა** – როდესაც მშობელი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობას იღებს სასწავლო პროცესში, მაგალითად სხვა მშობლებთან კომუნიკაცია, მასწავლებლებისთვის და სკოლის ადმინისტრაციისთვის სასწავლო მიზნების მისაღწევ დამხმარე საქმიანობაში ჩართვა;
4. **სწავლაში მხარდაჭერა** – როდესაც მშობელი ეხმარება შვილს სასწავლო მიზნების მიღწევაში სწავლებით, ორგანიზებით, დამხმარე საშუალებებზე ხელმისაწვდომობით.
5. **გადაწყვეტილების მიღება** – როდესაც მშობელს აქვს ნდობა, არის ლიდერი და მონაწილეობას იღებს სასკოლო გადაწყვეტილებებში;
6. **საზოგადოებრივი თანამშრომლობა** – როდესაც მშობელს შეუძლია საზოგადოების რესურსებისა და მომსახურებების იდენტიფიცირება და ინტეგრაცია სასკოლო აქტივობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მშობლების ჩართულობის პრაქტიკა, ა.ო „მშობლები განათლებისათვის“, 2020 წ.
2. რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, 2015 წ.
3. Teaching Today a Practical Guide. 4-th Edition Publisher: Oxford University Press 2009.
4. მშობელთა ჩართულობა ა.ო. „მშობლები განათლებისთვის“ 2020 წ.

ჯინა შოგირაძე
ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების მაგისტრი

რომელი უფრო ცუდად მოიქცა?

„გიორგიმ საკლასო ოთახის ფანჯრის რაფაზე არსებული ყვავილის ერთი ქოთანი თანაკლასელზე გაბრაზებულმა გატეხა, დათომ სამი ქოთანი – შემთხვევით, ყვავილების მორწყვის დროს“ – რომელი უფრო ცუდად მოიქცა?

ზრდასრული ადამიანის პასუხი ამ კითხვაზე ცხადი და ერთგვაროვანია, მაგრამ ბავშვებისა და მოზარდების პასუხების სხვადასხვაობაა გასაკვირი; თუმცა, როდესაც 7 წლის მოსწავლეს გამრავლების ტაბულას ვეკითხებით და ვერ გვპასუხობს, ამაში გასაოცარს ვერაფერს ვხედავთ. როგორც ჩანს, ჩვენ ვიაზრებთ ბავშვის კოგნიტური უნარების განვითარების შეზღუდულობას, მორალური მსჯელობის ლიმიტირებულობას კი – ვერა. აღნიშნულ ორ მოცემულობას შორის იმაზე მჭიდრო კავშირი არსებობს, ვიდრე წარმოგვიდგენია. განსჯა იმისა, თუ რა არის სწორი და რა არასწორი, ანუ მორალური მსჯელობა, დამოკიდებულია პიროვნების კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარების დონეზე.

პიაჟეს მორალური განვითარების თეორიის მიხედვით, 5-დან 10 წლამდე ბავშვების უმრავლესობა თვლის, რომ დათო უფრო ცუდად მოიქცა, ვიდრე გიორგი. ამ ასაკისთვის დამახასიათებელი კოგნიტური განვითარების დონიდან გამომდინარე, ისინი აქცენტს აკეთებენ შედეგებზე და ვერ იაზრებენ ისეთი აბსტრაქტული ცნებების მნიშვნელოვნებას, როგორიცაა მოტივი, განზრახვა და ა.შ.; სწორედ ამიტომ, მათთვის დათო უფრო ცუდად მოიქცა, ვიდრე გიორგი, რადგან გიორგიზე მეტი ქოთანი გატეხა. აქ აზრს კარგავს იმაზე საუბარი, რომ დათოს კეთილშობილური განზრახვა ჰქონდა, გიორგიმ კი ბრაზის გაკონტოლება ვერ შეძლო და მიზანმიმართული აგრესია გამოხატა. ბავშვების აზროვნება ეგოცენტრული და რეალურია; სწორედ რეალიზმია ის, რაც ბავშვებისთვის წესებს შეუცვლელსა და აბსოლუტურს ხდის – კონკრეტული ქმედება ან ცუდია, ან კარგი!

გარდა ამისა, ამ ასაკში უფროსების ავტორიტეტი განუზომლად დიდია; შესაბამისად, ის, რაზეც ზრდასრულმა ადამიანმა, მაგალითად, მასწავლებელმა თქვა, რომ სწორია, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს და გადაცდომა დანაშაულია. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, ზრდასრულების მიდგომა წესებისადმი იყოს ერთგვაროვ-

ვანი და თანმიმდევრული. თუ ერთი მასწავლებლისთვის თანაკლასელის „ცუდი“ ქცევის შესახებ უფროსისთვის შეტყობინება „სწორი“ საქციელია, ხოლო მეორისთვის – „არასწორი“, ბავშვში ეს დაბნეულობასა და გაურკვევლობას იწვევს, რაც ხელს უშლის მასში მყარი და სტაბილური ღირებულებების ფორმირებას. ამრიგად, წესებზე შეთანხმება უნდა მოხდეს არა მხოლოდ კლასს შიგნით, არამედ კლასს გარეთაც, სკოლის მასშტაბით.

ავტორიტეტისადმი ძლიერი მორჩილების გამო, ბავშვები ფიქრობენ, რომ მათი მთავარი ვალდებულება უფროსისთვის სიმართლის თქმაა, თუნდაც მისი მეგობრის „ცუდი“ ქცევის შესახებ; უფროს ასაკში კი უპირატესობა მეგობრისადმი ერთგულებას ენიჭება და არა სიმართლის თქმას („ჩამშვები კი არ ვარ“).

უმცროს ასაკში ბავშვები განსხვავებულად აღიქვამენ დასჯასაც. მათთვის დასჯის ფუნქცია „დამნაშავისთვის“ ტკივილის მიყენება, შესაბამისი საზღაურის გადახდა, შურისძიებაა („ღირსი ხარ“). თუ გიორგი ქოთნის გატეხვის შემდეგ გაიქცევა, სველ იატაკზე ასრიალდება და წაიქცევა, 10 წლამდე ბავშვები ჩათვლიან, რომ გიორგი არა სველი იატაკის გამო, არამედ ქოთნის გატეხვის გამო წაიქცა – დაისაჯა. მათთვის „ცუდი“ ქცევა ყოველთვის ისჯება, დამნაშავე დაუსჯელი არასდროს რჩება. ამასთან, რაც უფრო მკაცრია სასჯელი, მით უფრო ეფექტიანად აღიქმება ის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დასჯისადმი ამგვარი მიდგომა არ წაახალისოს და მოსწავლეების ქცევის მართვის მიზნით, დასჯა უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენოს.

ასაკის მატებისა და შესაბამისად, კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ, ვითარება იცვლება. დაახლოებით 10 წლიდან მოზარდები იაზრებენ იმას, რომ წესები უზენაესი ძალის მიერ კი არ არის დადგენილი, არამედ ადამიანთა უმრავლესობის შეთანხმების შედეგია და, ესე იგი, მოდიფიცირებას ექვემდებარება, რელატიურია. სწორედ ამიტომ, ამ პერიოდში მასწავლებლის მიერ წესის აბსოლუტიზირება („ასეა სწორი და მორჩა!“) და სიხისტე მოსწავლეების თვალში მის ავტორიტეტს ამცირებს, მით უფრო, რომ ამ ასაკში თანატოლთა მოსაზრებები უფროსების შეხედულებებზე უპირატესია.

კოგნიტური მომწიფება ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, დაძლიოს ეგოცენტრიზმი და დაინახოს საკითხი სხვა ადამიანების პერსპექტივიდან. ბავშვები იაზრებენ, რომ რასაც თვითონ სწორად მიიჩნევენ, შესაძლოა, სხვისთვის არასწორი იყოს. ეს ეხმარება მათ, განზრახვების, მოტივებისა და კონტექსტის ჭრილში განიხილონ ქცევა და არა მხოლოდ შედეგების მიხედვით. ამიტომაც, მათი უმრავლესობისთვის გიორგი უფრო ცუდად მოიქცა, ვიდრე დათო.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა წაახალისოს მსგავსი მორალური განხილვები, მისცეს საშუალება მოსწავლეებს, გამოხატონ სხვადასხვა მოსაზრება და არგუმენტირებულად დაასაბუთონ თავიანთი პოზიცია; ეცადონ, გაუგონ სხვას. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალ ასაკში, როდესაც ჯერ კიდევ დაძლეული არ არის ეგოცენტრიზმი და რეალიზმი. განვითარების უახლოეს ზონაში მყოფი თანატოლების აზრების მოსმენა ხელს უწყობს მორალური მსჯელობის განვითარებას. ამგვარი მიდგომით კი, არა მხოლოდ მორალურ განვითარებას ვუწყობთ ხელს, არამედ ემპათიის განვითარებასაც, რაც, თავის მხრივ, მორალური მსჯელობისა და მორალური ქცევის გაუმჯობესების საწინდარი შეიძლება გახდეს.

10 წლის ასაკიდან იცვლება მიდგომა დასჯის მიმართაც – მიზანი არა რევანში, არამედ სამართლიანობის აღდგენა ხდება. სასჯელის ფუნქციაა, დამნაშავემ გააცნობიეროს მის მიერ მიყენებული ზიანი, რათა მომავალში აღარ გაიმეოროს იგივე; ამასთან, სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების შესაბამისი, ტოლფასი.

გარდა ამისა, აღნიშნული ასაკის მოზარდები უკვე იაზრებენ იმას, რომ სამყარო იდეალურად სამართლიანი არ არის; ზოგჯერ დამნაშავე დაუსჯელი რჩება, ზოგჯერ კი უდანაშაულო ადამიანები იტანჯებიან. თუ ადრეულ ასაკში ერთი შეცდომისთვის მთელი კლასის დასჯა მისაღები იყო, ამ ასაკის მოზარდები ამას უკვე არასამართლიანად მიიჩნევენ; ფიქრობენ, რომ უდანაშაულო ადამიანი სხვის მიერ ჩადენილი ქმედების გამო არ უნდა დაისაჯოს. ცხადია, დასჯის ამ მეთოდზე მასწავლებელმა უარი უნდა თქვას ამ ასაკშიც და განვითარების ადრეულ ეტაპზეც.

როგორც უკვე აღინიშნა, უფროს ასაკში იცვლება მიდგომა ტყუილის მიმართაც. მოზარდები უკვე არჩევენ სხვადასხვა ტიპის ტყუილს, ესმით „თეთრი ტყუილის“ არსიც. ტყუილი განიხილება როგორც ნდობის დაკარგვა და მორალურად სწორედ ამიტომ არ არის გამართლებული და არა იმიტომ, რომ ავტორიტეტის მიერ ისჯება. როცა ამ ასაკის მოსწავლე სასჯელის შიშით ტყუის („მას., დავწერე დავალება, მაგრამ სახლში დამრჩა“), მასწავლებლის მხრიდან მიზანშეწონილია, აქცენტი გაკეთდეს ნდობაზე და არა დავალების შესრულების მნიშვნელობაზე („მე შენ გენდობი და ჩემთვის შენგან სიმართლის თქმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, დავალება შეასრულე თუ არა“).

ცხადია, განვითარების პროცესში ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა, ასაკის მატებასთან ერთად, ხისტად და რევოლუციურად არ ხდება; ცვლილება თანმიმდევრული და ევოლუციურია. სხვისი პოზიციის დანახვის შესაძლებლობის გაჩენა მოზარდს საშუალებას აძლევს, იხელმძღვანელოს სამართლიანობის პრინციპით და მიიღოს გადაწყვეტილებები სხვისი აზრებისა და ემოციების გათვალისწინებით.

ამგვარ ორმხრივობას თავდაპირველად შექცევადი ხასიათი აქვს – „მან ერთი ფანქარი გამიტეხა, მეც ერთ ფანქარს გავუტეხ“. როდესაც მასწავლებელი მსგავს მსჯელობას ისმენს, მიზანშეწონილია, შესთავაზოს ალტერნატივა, რომელიც მეტად იდეალური და ნაკლებად შურისმაძიებლურია – „უკეთესი ხომ არ იქნება, ისე მოექცე როგორც შენ გინდა რომ მოგექცეს?!“. ამ ასაკში მოზარდს აქვს მსგავსი იდეის გააზრებისა და გათავისების კოგნიტური მზაობა.

განსაკუთრებით ეფექტიანია თუ ამ მოსაზრებას ის თანატოლისგან მოისმენს. ამ ყველაფრით ვეხმარებით მას, მომავალში ყოველთვის ისეთი მორალური გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც ნაკლებად დამაზიანებელი და მეტად მომგებიანი იქნება როგორც მისთვის, ისე სხვა ადამიანებისთვის.

ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისა და მოზარდების პასუხები შემდეგ კითხვებზე: საიდან მოდის წესები? შესაძლოა წესების ცვლილება? ვინ ადგენს წესებს? ვინ მოიქცა „ცუდად“? შედეგები განსაზღვრავს ქცევის „სიცუდეს“? არის თუ არა განსხვავება მიზანმიმართულ და შემთხვევით „ცუდად მოქცევას“ შორის? სასჯელი დანაშაულის ტოლფასი უნდა იყოს? დამნაშავე ყოველთვის ისჯება? როგორც დავინახეთ, აღნიშნულ კითხვებს სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარად პასუხობენ. პასუხები გვეხმარება, შევაფასოთ ბავშვის მორალური მსჯელობის განვითარების დონე.

პირველ სამ კითხვაზე პასუხი ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ თუ როგორ აღიქვამს და იგებს ბავშვი წესებს; მომდევნო სამ კითხვაზე გაცემული პასუხით განვსაზღვრავთ იმას თუ როგორ ესმის ბავშვს მორალური პასუხისმგებლობა; ხოლო ბოლო ორ კითხვაზე პასუხი სამართლიანობის აღქმის სპეციფიკაზე მიუთითებს.

მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს სკეპტიკური და, ამავე დროს, ლეგიტიმური აზრი – „ჩემი მოს-

წავლე ძალიან სწორად მსჯელობს მორალურ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც ცუდად იქცევა“. ჩვენ საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ მორალურ მსჯელობაზე და არა მორალურ ქცევაზე, ვინაიდან მორალური განვითარების ადრეული თეორიების ავტორები სწორედ მსჯელობას შეისწავლიდნენ და აკეთებდნენ დაშვებას, რომ ქცევაც მისი შესატყვისი იქნებოდა. თუმცა, სრულიად მართებულია კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ მორალური მსჯელობა ყოველთვის არ იძლევა მორალური ქცევის წინასწარმეტყველების საშუალებას. მიუხედავად ამისა, მორალური მსჯელობის განვითარებაზე ზრუნვა მორალური განვითარების ხელშეწყობის აუცილებელი პირობაა.

მორალური განვითარების ხელშესაწყობად არაერთი სტრატეგია არსებობს, მათ შორის მოდელირება; უმთავრესი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი მოსწავლეების ზნეობრივი წინსვლისთვის, არის ის, რომ ჩვენ თვითონ ვიყოთ მათი მორალური ორიენტირი. უმცროსი ასაკის ბავშვები ძალიან ბევრს სწორედ დაკვირვებით და ავტორიტეტული პიროვნების ქცევის იმიტაციით სწავლობენ.

პასიურ დაკვირვებაზე უფრო მნიშვნელოვანი პროცესში აქტიური ჩართულობაა. როდესაც ბავშვი/მოზარდი ისმენს ზრდასრული ადამიანების მორალურ მსჯელობას, როცა მისი მოსაზრებებისგან განსხვავებულ შეხედულებებს ეცნობა, მასში დაძაბულობა მატულობს; ეს კი უბიძგებს იმისკენ, რომ უფრო ღრმად შეისწავლოს საკითხი, ინფორმაცია არა ზედაპირულად, არამედ სიღრმისეულად გადაამუშაოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. მასწავლებლის როლი სწორედ ამ დაძაბულობის შექმნაა, წონასწორობის დარღვევაა, რითაც მოსწავლეს აქტივობისკენ და საკუთარი სქემების გადახედვისკენ უბიძგებს. მოსწავლეებს, რომლებიც ცნობისმოყვარეობას ავლენენ მორალური დილემების განხილვის დროს, უფრო სწრაფად უვითარდებათ მორალური მსჯელობა.

მორალური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარი, ლოურენს კოლბერგი, გვთავაზობს სკოლებში „სამართლიანი გაერთიანებების“ შექმნას, რომლის წევრებიც იქნებიან სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექცია. კვირაში ერთხელ მრგვალი მაგიდის ირგვლივ, თანასწორობის პრინციპის დაცვით, სხდებიან გაერთიანების წევრები და განიხილავენ პრობლემურ, წესების დამრღვევ ქცევებს. გაერთიანების ყველა წევრს აქვს საკუთარი მოსაზრებისა და ემოციის დაფიქსირების უფლება. ამგვარი მიდგომით, ერთი მხრივ, ყალიბდება თანამშრომლობითი ურთიერთობა სკოლის ყველა რგოლს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ვითარდება მორალური მსჯელობა, რაც პოტენციურად საფუძვლად ედება მორალურ ქცევას.

იმავეს გაკეთება შეიძლება კლასის მასშტაბით – კლასის დამრიგებელს კვირაში ერთხელ, კლასის საათზე, შეუძლია წარადგინოს რეალური ან ჰიპოთეტური სიტუაცია, რომელიც მორალური თვალსაზრისით დილემურია და მისცეს მოსწავლეებს მისი განხილვის შესაძლებლობა; თავადაც ჩაერთოს პროცესში და შესთავაზოს მოსაზრებები, რომლებიც უფრო მაღალგანვითარებულ მორალს შეესაბამება.

მორალური მსჯელობის განვითარების ერთ-ერთი გზა როლური თამაშია. წარუდგინეთ მოსწავლეებს მორალურად პრობლემური სიტუაცია, რამდენიმე მათგანს გაუნაწილეთ როლები და სთხოვეთ, იმოქმედონ სცენარის მიხედვით. თამაშის დასრულების შემდეგ დაუთმეთ დრო დისკუსიას. როლში მყოფ ბავშვებს/მოზარდებს მიეცით საკუთარი აზრებისა და ემოციების გამოხატვის შესაძლებლობა. ამასთან, დამკვირვებლები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ მოიქცეოდნენ თავად და რატომ.

გაითვალისწინეთ, რომ მორალური დილემები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეების ასაკობრივ

განვითარებას და იყოს რელევანტური, მაგალითად, წარუდგინეთ მოსწავლეებს თინეიჯერებისთვის ტიპური სიტუაცია:

ნინო მეცხრე კლასის მოსწავლეა. მას კარგი სამეგობრო ჰყავს; საკმაოდ პოპულარულია და კარგადაც სწავლობს. ნინოს საკუთარი თავი ყოველთვის კარგ მეგობრად მიაჩნდა, მაგრამ ორი კვირის წინ დილემის წინაშე დადგა. მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, ანა, გამოუტყდა, რომ მეათე კლასელი ბიჭი, დათო, მოსწონს. ნინომ შესთავაზა, რომ ბიჭს მის მაგიერ დაელაპარაკებოდა. საუბრისას დათომ ნინო შაბათის წვეულებაზე მიიწვია. იმ მომენტში ნინომ ეს პრობლემად ვერ აღიქვა და დათანხმდა, ვერც მიხვდა, ეს რატომ გააკეთა; უბრალოდ, ძალიან ესიამოვნა, რომ ბიჭი მისით დაინტერესდა და მეტი აღარ უფიქრია.

ორშაბათს ანამ ნინოს დათოს შესახებ ჰკითხა. გაიგო, რომ სხვა გოგოსთან ერთად იყო წვეულებაზე და გაბრაზდა. ნინომ იცოდა, რომ მისთვის სიმართლე უნდა ეთქვა, მაგრამ მეგობრის დაკარგვა არ უნდოდა. სურდა ისეთი გზა ეპოვა, რომ ანას ვერ გაეგო სინამდვილეში რაც მოხდა და მასთან მეგობრობა შეენარჩუნებინა. სწრაფად უნდა ეფიქრა... პანიკაში ჩავარდა... ბოლოს უთხრა, რომ ჭორი გაიგო, თითქოს დათო მათ თანაკლასელთან, მარიამთან ერთად იყო წვეულებაზე. ანამ მარიამთან დალაპარაკება გადაწყვიტა. ახლა რა უნდა გააკეთოს ნინომ?

დისკუსიისთვის დასვით კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, როგორი ადამიანია ნინო?
- როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაეკეთებინა მოცემულ სიტუაციაში?

- როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა ისე, როგორც მოიქცა?
- ამ ამბის ოთხი პერსონაჟიდან ოდესმე რომელიმეს მდგომარეობაში თუ ყოფილხართ? რა მოხდა? რას გრძნობდით?
- თქვენ ან თქვენს ნაცნობს ოდესმე მოუტყუებია მეგობარი იმ ადამიანის გამო, ვინც მოსწონდა?
- როგორ ფიქრობთ, გოგოები კონფლიქტებს განსხვავებულად აგვარებენ, ვიდრე ბიჭები? როგორ? რატომ?

ეს ტიპური თინეიჯერული დრამა შესაძლოა ტრივიალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მოზარდები ხშირად დგანან დილემის – „მეგობრობა – რომანტიკული ურთიერთობა“ – წინაშე. რა თქმა უნდა, უმრავლესობა ნინოს დაადანაშაულებს. ასეთი მძაფრი დილემები თითქოს უფრო მარტივად გადასაწყვეტია, თუმცა თქვენი, როგორც მასწავლებლის, მოვალეობაა, რომ მოსწავლეებმა საკითხი მრავალი კუთხით განიხილონ. თუ მათ პირადი გამოცდილების შესახებაც კითხავთ, დისკუსია უფრო მეტად ემოციებით დატვირთული და, შესაბამისად, უფრო კომპლექსური იქნება.

მორალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მოზარდებთან ურთიერთობისას გახსოვდეთ:

- **ისაუბრეთ ღიად და გულწრფელად თქვენი ღირებულებების შესახებ** – მოზარდების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობისკენ დაუოკებელ სწრაფვას რომ ვუყურებთ, ზოგჯერ გვგონია, რომ მათ ჩვენი მოსაზრებები აღარ აინტერესებთ. სინამდვილეში ეს ასე არ არის. მათ სურთ იცოდნენ, რას ფიქრობენ მათი როლური მოდელები და ყოველთვის ძალიან აფასებენ უფროსების მხრიდან გულწრფელობას. მოუყევით თქვენ შესახებ – რა ფაქტორებისა და გამოცდილებების გავლენით ჩამოგიყალიბდათ ის ღირებულებათა სისტემა, რომელიც გაქვთ.
- **მოუსმინეთ და არ განსაჯოთ** – როდესაც მოზარდი საკუთარ წუხილს გიზიარებთ, თავს მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს – ერთი მხრივ, განიცდის რეალურ პრობლემას, ხოლო, მეორე მხრივ, იმას თუ რას იტყვით თქვენ ამასთან დაკავშირებით. მოუსმინეთ და შეუქმენით უსაფრთხო გარემო, სადაც მას უპირობოდ იღებენ და იგი კვლავ მოვა თქვენთან რჩევის საკითხავად. ხაზი გაუსვით იმას, რომ შეცდომის დაშვება „მოსულა“.

- **მხარი დაუჭირეთ მათ მათი ქმედებების შედეგების შეფასებასა და განხილვაში** – მოზარდებს შეგრძნებათა მაძიებლობა ახასიათებთ, რაც სარისკო ქცევების განხორციელებაში გამოიხატება. დაეხმარეთ, წარმოიდგინონ სრული და ზუსტი სურათი იმისა თუ რა შედეგები მოჰყვება კონკრეტულ ქმედებას; ეს მათ მომავალში სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. განიხილეთ უკვე განხორციელებული ქცევის ნეგატიური შედეგები და მიეცით მიმართულება, რათა თავად იპოვონ ალტერნატიული მიდგომები.
- **მიეცით შესაძლებლობა, აღმოაჩინონ სხვა პერსპექტივა** – მოზარდებს აინტერესებთ თუ რამდენად შეესაბამება მათი შეხედულებები, ღირებულებები და სტანდარტები სხვებისას. განსხვავებული ასაკისა და გამოცდილების მქონე ადამიანებთან ურთიერთობა შედარების, გამოკვლევის, ახალი და განსხვავებული ხედვების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს მათ. მაშინაც კი, როცა ისინი არ ეთანხმებიან ახალ იდეებს, სწავლობენ სხვათა შეხედულებების პატივისცემას, რაც მორალური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ამრიგად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლეების მორალური განვითარების დონის განსაზღვრა არა შეფასების, კატეგორიზაციის და განსჯის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ იზრუნოს მათ შემდგომ განვითარებაზე და სწორი რეაგირება მოახდინოს მათ ქცევებზე.

და ბოლოს, გეტყვით, რომ ჩვენი მოსწავლეების მორალურ განვითარებაზე ზრუნვა იწყება ჩვენი მორალური მსჯელობის განვითარებაზე ზრუნვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერკი, ლ., 2010, ბავშვის განვითარება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. Helping Your Child through Early Adolescence. Washington, D.C., 2005
3. McLeod, S. A. (2015). Piaget's theory of moral development. Simply Psychology. www.simplypsychology.org/piaget-moral.html
4. McLeod, S. A. (2013, October 24). Kohlberg's stages of moral development. Simply Psychology. www.simplypsychology.org/kohlberg.html
5. U.S. Department of Health and Human Services, Office of Adolescent Health, Adolescent Development Explained. Washington, D.C: U.S. Government Printing Office, November 2018.

სალომე ჯაფარიძე

კლინიკური ფსიქოლოგი, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ფსიქოლოგი

რომ გაიზრდები, ვინ ვინდა იყო?

როდესმე თავი გიგრძვნია დაბნეულად ან შეშინებულად, როდესაც უკითხავთ: რომ გაიზრდები, ვინ გინდა იყო? თუ შენი პასუხი ამ კითხვაზე დადებითია, იცოდე რომ მარტო არ ხარ. როგორი გვინდა იყოს ჩვენი ცხოვრება მომავალში – ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია, თუმცა ამ ეტაპზე მინდა, თქვენი ყურადღება წინადადების პირველ ნაწილზე გადმოვანაცვლო – რომ გაიზრდები...

რას ნიშნავს გაზრდა? რა ხდება, როდესაც იზრდები? რამდენად ხშირად გითქვამს სიტყვები: დიდი რომ ვიქნები... დიდი რომ ვიქნები, დედას ყველა სურვილს ავუსრულებ; დიდი რომ ვიქნები, ჩემი ოცნების სახლი მექნება... ხშირ შემთხვევაში „დიდობა“ სურვილების ახდენასთან ასოცირდება, იმის უფლებასთან და შესაძლებლობასთან, რაც ახლა არ შემიძლია. ესე იგი, თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ გაზრდა მხოლოდ ფიზიკურ ცვლილებებს არ მოიცავს. სიმაღლეში ვიზრდებით, ტანსაცმელი მალე გვიპატარავდება, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენი საყვარელი აქტივობებიც იცვლება, ძველი თამაშები აღარ გვართობს, ჩვენი საყვარელი სათამაშოები ხშირად თაროზე დევს და აღარ გვაინტერესებს, ვხვდებით, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ადამიანები ცოცხლობენ ბევრად უფრო დიდხანს, ვიდრე ცხოველთა უმეტესობა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ბავშვობის პერიოდიც საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ბავშვებსაც, ცხოველების პატარა შვილების მსგავსად, სჭირდებათ დრო, რომ ისწავლონ დამოუკიდებლად ცხოვრება. გავიხსენოთ ყველასთვის საყვარელი ანიმაციური ფილმები – „მეფე ლომი“ ან „ბემბი“. ამ ფილმებში ნაჩვენებია, როგორ იზრდებიან „სიმბა“ და „ბემბი“ და როგორ ეხმარებიან მათ მშობლები პატარაობაში – ჯერ ასწავლიან სიარულს, ჭამას, ეხმარებიან მეგობრების შეძენაში, შემდეგ კი, როცა წამოიზრდებიან, აძლევენ მეტ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. იგივე ეტაპებს გადის ბავშვიც. როგორც იზრდება ადამიანის სხეული, ისევე იზრდება მისი გონებაც. ჩვენ ვხედავთ, როგორ იზრდება ბავშვი სიმაღლეში, როგორ იმატებს წონაში, მაგრამ ვერ ვხედავთ, როგორ იცვლება მისი აზროვნება. აზროვნების ცვლილება გამოიხატება ქცევებით. ის ადამიანები, რომლებიც სწავლობენ ბავშვის განვი-

თარებას, სწავლობენ, როგორ იცვლებიან ბავშვები დაბადებიდან ზრდასრულობამდე. როდის მთავრდება ბავშვობა და იწყება ზრდასრულობა განისაზღვრება ქვეყნის კანონმდებლობით, მაგალითად, საქართველოში ბავშვობა გრძელდება 18 წლამდე.

ბავშვის განვითარება იყოფა საფეხურებად. ის იწყება ჩვილობით, გრძელდება სკოლამდელი პერიოდით, შემდეგ 6 ან 7 წლის ასაკში ბავშვი შედის სკოლაში, 9 წლისთვის დგება წინამოზარდობის, იგივე შუა ბავშვობის პერიოდი, რომელიც გრძელდება თინეიჯერობის დადგომამდე. დეტალურად განვიხილოთ თითოეული მათგანი და მისი დამახასიათებელი თავისებურებები:

ჩვილობა

ჩვილობის ეტაპი იწყება დაბადების პირველივე დღიდან და გრძელდება 18 თვემდე. ეს არის ყველაზე უსუსური პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში, რადგანაც იგი სრულად არის დამოკიდებული უფროსზე; არ შეუძლია დამოუკიდებლად სიარული, ჭამა, როდესაც რაღაც აწუხებს, ტირილით ატყობინებს მშობელს და სთხოვს დახმარებას. ჩვილს სჭირდება დაახლოებით 3 თვე, რომ ისწავლოს ისეთი მარტივი რამე, როგორიცაა თავის დაჭერა. კუნთების ზრდასთან ერთად, ბავშვს უკვე მეტის გაკეთება შეუძლია; პირველი ერთი წლის განმავლობაში სწავლობს გადაბრუნებას, დაჯდომას, ხოხვას, სხვისი დახმარებით დგამს პირველ ნაბიჯებს. ნელ-ნელა უკეთ იყენებს საკუთარ ხელებს და იჭერს საგნებს. ჩვილობის პერიოდში ბავშვი ცდილობს გამოსცეს ხმები, რომელიც თანდათანობით ემსგავსება სიტყვებს.

ფეხის ადგმის პერიოდი

ეს ეტაპი იწყება მაშინ, როდესაც ბავშვი იწყებს სიარულს, როგორც წესი, 1 წლის ასაკში. ბავშვების უმეტესობა ამ ასაკში იწყებს სიტყვების თქმასაც. ზრდასთან ერთად ბავშვი ხდება უფრო ძლიერიც, მეტად აკონტროლებს საკუთარ სხეულს. უმჯობესდება მისი აზროვნების უნარიც. ნელ-ნელა ბავშვი აერთიანებს სიტყვებს და ამბობს მარტივ წინადადებებს. მოსწონს იმის გამეორება, რასაც აკეთებენ ან ამბობენ მის ირგვლივ მყოფი სხვა ადამიანები.

სკოლამდელი პერიოდი

სკოლამდელი პერიოდი იწყება 3 წლის ასაკში და გრძელდება 5 წლამდე. ამ ეტაპზე ბავშვები სწავლობენ ბევრ ახალ და მნიშვნელოვან უნარს, მაგალითად განაწილებას. ამ პერიოდში ყველაზე საყურადღებო ცვლილებაა პატარას შესვლა საბავშვო ბაღში. ბევრი ბავშვისთვის ეს პროცესი საკმაოდ რთულია. მას დიდი ხნით უწევს ყოფნა ოჯახიდან შორს, მისთვის უცხო გარემოში, უცხო ადამიანების გარემოცვაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სირთულეებთან ერთად, ბაღში წასვლა ბევრ კარგ ემოციასაც უკავშირდება. მაგალითად, თანატოლების გაცნობას. ბავშვი სწორედ საბავშვო ბაღში სწავლობს თამაშებს მარტივი წესებით, როგორიცაა: დამალობანა, დაჭერობანა. ასევე, სწავლობს როლურ თამაშებს, რაც გულისხმობს სხვა პროფესიის ან სხვა სტატუსის მქონე ადამიანის ქცევის გამეორებას. მაგალითად, ექიმობანა, მასწავლებლობანა, დედაშვილობანა და სხვა. აღნიშნული თამაშები ბავშვს ეხმარება ფანტაზიის განვითარებაში, ასწავლის ურთიერთობებს თანატოლებთან. ბოლოს კი, სკოლამდელ ეტაპზე, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ბავშვი ემზადება სკოლაში წასასვლელად.

სასკოლო პერიოდი

სკოლაში წასვლა ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. სკოლის დაწყება გულისხმობს ახლი ეტაპის დაწყებას. ამ პერიოდში ბავშვის ტვინი ძალიან სწრაფად ვითარდება. იგი სწავლობს კითხვას, წერას, ანგარიშს. უფრო მეტს იგებს ურთიერთობებზე. მის ცხოვრებაში შემოდის ახალი მნიშვნელოვანი ადამიანი – მასწავლებელი. როგორც წესი, ბავშვი ცდილობს მასწავლებლისგან მოწონების, შექების დამსახურებას. იმავდროულად, იზრდება მისი მეგობრე-

ბის რაოდენობა; ცდილობს, რომ ჰყავდეს ახლო მეგობრები.

რადგანაც ორგანიზმი ამ ეტაპზე უფრო ძლიერია, ბავშვს უკვე შეუძლია დაკავდეს სხვადასხვა ფიზიკური აქტივობით, მაგალითად, სპორტით, ცეკვით და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში წასვლა ახალ თავგადასავლებსა თუ ისტორიებს უკავშირდება და საკმაოდ ამაღელვებელი პერიოდია, მას თან ახლავს ძალიან ბევრი სირთულე და ბევრი ბავშვისთვის არცთუ ისე მარტივია ამ გამოწვევებთან გამკლავება. პირველ რიგში, ეს არის ოჯახთან განშორება, ბავშვები ხშირად ჩივიან, რომ სკოლაში ყოფნის პერიოდში ენატრებათ მშობლები. შემდეგი ეს არის სკოლის წესების დაცვა. სკოლაში შესვლის შემდეგ ცოტა დრო რჩება თამაშისთვის და მეტი დრო სჭირდება სწავლას. ასევე, ბავშვის ცხოვრებაში მოულოდნელად ჩნდება ბევრი უცხო ადამიანი.

ეს ყველაფერი საკმაოდ რთული და დამღლელია, მაგრამ ოჯახის წევრებისა და მასწავლებლის დახმარებით, ბავშვი სწავლობს პრობლემების მოგვარებას და თანდათან სკოლაში სიარული სასიამოვნო ხდება.

შუა ბავშვობა

შუა ბავშვობის პერიოდი იწყება 9 წლის ასაკში და გრძელდება თინეიჯერობის ასაკამდე ანუ 12 წლამდე. ამ პერიოდში ბავშვები ხდებიან მეტად დამოუკიდებლები; მეტად აკონტროლებენ საკუთარ ქცევებს; სწავლობენ, როგორ დაეხმარონ სხვებს. ამ დროისთვის უკეთ შეუძლიათ ურთიერთობების დამყარება, საკუთარი სურვილების დათმობა სხვების სასარგებლოდ, იძენენ ახლო მეგობრებს. მათი სამეგობრო წრე ხდება ძალიან მნიშვნელოვანი. უფრო კარგად ეცნობიან სამყაროს მათი სახლის, სკოლის მიღმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. გაგოშიძე, შუა ბავშვობა (6–11 წლის ბავშვის ასაკობრივი განვითარება, აღზრდა და სწავლება), 2017;
2. ი. აფთარაშვილი და სხვ., საბავშო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2017;
3. სამოქალაქო განათლება ყველასთვის, პიროვნება და საზოგადოება, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა;

ყველაზე მნიშვნელოვანი ძვრები კი ხდება მოზარდის იდენტობაში. პიროვნების იდენტობა მის მიერ საკუთარი თავის აღქმაა, ის თავისებურებებია, რომლებიც ახასიათებს პიროვნებას და რომლებითაც იგი საზოგადოებაში წარსდგება. სწორედ შუა ბავშვობის პერიოდში ღრმავდება ცოდნა იმის შესახებ, თუ რა შემიძლია, რა გამომდის, რა არის ჩემი სისუსტე, რისი კეთება მანიჭებს სიამოვნებას, ანუ ნელ-ნელა ყალიბდება და ფორმა ეძლევა თვითშეფასებას. ხშირ შემთხვევაში შეიძლება აღმოაჩინო, რომ ის, რაც ღრმა ბავშვობაში მოგწონდა, ახლა შენთვის უინტერესოა ან შეიძლება გააანალიზო, რომ არცთუ ისე კარგად გამოგდის. შენთვის მნიშვნელოვანი ხდება, დაიმსახურო სხვისი მოწონება და აღიარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შუა ბავშვობაში უკვე აცნობიერებ, რომ რაღაცის სურვილი საკმარისი არ არის; გადაწყვეტილების მიღების დროს ყურადღებას ბევრ ფაქტორს აქცევ; უკვე იაზრებ, რომ გაზრდა დამოუკიდებლობასთან ერთად პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებსაც მოიცავს; იცი, რომ შენი ოცნებები ცვალებადია, შენი მისწრაფებებიც სწრაფად იცვლება და მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ გიჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე: რა გინდა აკეთო მომავალში. თუმცა, როდესაც იგებ და ითავისებ, რას ნიშნავს „რომ გაიზრდები“, იწყებ მზადებას იმისთვის, „ვინ გინდა იყო“.

www.tpdc.ge